# მოძღუ̂რება.

ხარების დღესა ჩყჟდ წელსა; თქმული ქუთაისს, გაბრიელ ეპისკოპოზისა მიერ

> ყოველი დიდება ასულისა მეუფისა შინაგან, ფესკედითა ოქროვანითა შემკულ არს და შემოსილ პირად პირადად. (ფს. მდ, იგ, იდ.).

წინასწარმეტყუელი დავით ორმეოცდა მეოთხესა ფსალმუნსა შინა მისსა აღწერს დიდებასა სიკეთესა და მშუ̂ენიერებასა ერთისა უცნოებელისა რომლისამე მეფისა და მშუ̂ენიერებასა მისისა მეუღლისა და მისთა ძეთა და ასულთა და იტყჳს: ყოველი დიდება ასულისა მეუფისა შინაგან, ფესკედითა ოქროვანითა შემკულ არს და შემოსილ პირად პირადად ესე იგი დიდება და ღირსება მეუფისა ასულისა არის შინაგან გულსა და სულსა მისსა, თუმცა, ამასთანავე, იგი შემკულ არს ოქროვანითა შესამოსლითა პირად პირადად, წმიდანი მამანი აღგვიხსნიან ჩუ̂ენ, რომელ სიტყუ̂ათა ამათ შინა დავით მეფე წინასწარ მოასწავებდა ყოვლად წმიდასა დედოფალსა მარიამსა, რომლისა ხარებასა დღეს ძმანო და ქრისტიანენო, ვდღესასწაულობთ ჩუ̂ენ და ვიხარებთ. ჭეშმარიტად, მხოლოდ

ერთს უბიწოსა მარიამს შეეფერება მაღალი იგი ქება, რომელ ყოველი დიდება მისი შინაგან მისა იყო თუმცაღა, ამასთანავე იგი იყო შემკული გარეგანითაცა გამოუთქმელითა მშვენიერებითა და სიკეთითა — ამით განსხვავდებოდა იგი ყოველთაგან ასულთა

ეს დიდი ქება არის კეთილი და აღმაშენებელი მაგალითი ყოველის ქალისათვის, თუმცა ყოველსა ადამიანსა ვითარცა მამაკაცსა, ეგრეთვე დედაკაცსა, აქვს დიდი სურვილი და მიდრეკილება გარეგანის ღირსებისადმი, გარნა უმეტესად ქალთა. თუმცა ყოველს ადამიანს დიდად მოსწონს გარეგანი მშვენიერება და სამკაული, გარნა უმეტესად ქალთა, ესენი არიან ერთობ მსურველნი და მეძიებელნი გარეგანისა მშვენიერებისა და სამკაულისა, ამათ უნდა ისწავლონ და ახსოვდეთ მარადის, რომელ მშვენიერება და სამკაული ქრისტიანისა არის შინაგანი ღირსება და სათნოება.

წმიდა მოციქული პავლე ეპისტოლესა შინა მისსა, არიგებს ტიმოთეს მისგან ეპისკოპოსად კელდასხმულსა რა სახით უნდა ეპყრობოდეს იგი და ასწავლიდეს თვითოეულსა პირსა მისსა სამწყსოისასა, შესახებ ქალთა დარიგებისა და სწავლისა, ესრეთ მისწერს მას: ეგრეთვე დედათა ასწავლიდე წესიერებასა სამკაულითა მორცხკედ და ღირსებით შემკობად თავთა თვისთა, არა განთხზვითა ოქროთა, ანუ მარგალიტითა, ანუ სამოსლითა, დიდფასითა. (ა. ტიმოთ დუთ), ესე იგი ქალებთა ასწავლე, რათა არა ეძიებდენ ნამეტარსა შემკობასა თავისა მათისასა ოქროთა, ანუ მარგალიტითა, ანუ სამოსლითა დიდ-

ფასითა, არამედ წესიერად, და მორცხვად შეიმკობდენ თავსა მათსა. რაც პავლემ მისწერა ტიმოთეს, მეც უნდა მახსოვდეს და ვასრულებდე; ამისთვის დღეს მე მივაქცევ ყურადღებასა თქუენსა, ქრისტეს მიერ ძმანო და დანო ჩემნო, ერთისა ფრიად ავისა, და საძრახავისა ჩვეულებისადმი, რომელი ერთობ განვრცელებულ არს ყოველთა ქალებთა შორის ქუეყანასა შინა ჩუენსა. რომელი არს ეს ჩუეულება? ფერისა და უმარილისა ხმარება. წარსრულის წლის, თვით ამ დღესასწაულის წირვაზე გეტყოდი მე თქუენ, რომელ არიან ჩუენ შორის მრავალნი ჩუეულებანი თუმცა ავნი, გარნა არა პატიჟ სადებნი, არამედ ღირსნი მოსპობისა და დავიწყებისა; ერთი ამათ ძველთა ჩუეულებათაგანი არის ფერის და უმარილის ცხება პირის სახეზე, ეს ავი ჩუეულება, როგორც ვთქჳ, ერთობ განვრცელებული არის ყოველთა აქაურთა ქალებთა შორის, ვიწყოთ უკანასკნელისა და უღარიბესისადმის სახლისაგან, ვიდრე უპირატესსა თავადის სახლამდე, და მცირე-წლოვანის ასულისაგან, ვიდრე მოხუცებულთა დედათამდე.

რა საჭირო არის ამაზედ ლაპარაკი ეკკლესიის კათედრასა ზედა, იფიქრებს ვინმე ჩემთა მსმენელთაგანი; ან რა დიდი ცოდვა არის ეს უბრალო ჩვეულება? არა, ძმანო და დანო ჩემნო, ვალი მაქუს და საჭირო არს რომ ამაზედ მოგცე თქუენ მოძღურება სამღრთო წერილი ხშირად ამხილებს ქრისტიანეთა ქალთა, რათა იგინი არა იყუნენ მსურველნი და მძიებელნი ამაოთა სამკაულთა; გამოცდილ არს და ვიცით ყოველთა თუ რა დიდი მიზ-

რეკილება აქჳს ქალსა სამკაულისადმი იმ ზომად, რომელ გარეგანთა სამკაულთა უმეტესად პატივს სცემს იგი და ეძიებს, ვიდრე შინაგანსა ღირსებასა; მაშასადამე არა მცი-რედი ცოდვა არის ოდეს ქრისტიანე ქალი წაიცხებს პი-რსა ზედა ფერსა და უმარილსა, მეტადრე ოდეს განვი-ზრახავთ და გავიხსენებთ, რომელ ყოველ ჩჳეულებათა და ნაკლულევანებათა ჩჳენთა აქჳსთ ურთიერთას შორის კავშირი; ერთი ნაკლულევანება მიიზიდავს მეორესა. ერთი ცოდვა მოიყვანს მეორესა, რისთჳს იცხებს ქალი ფერსა და უმარილსა? არა მისთჳს, რათა მოაწონოს მისი პი-რის სახე მჭვრეტელთა მისთა? გარნა რათ უნდა ეძიებ-დეს ამას ქალი? ღჳთის მოყჳარე და ღჳთის მოშიში ქალი არ იქმს ამას, არამედ ამაოების მოყჳარე და თავის მომწონი მორცხვედ და ღირსებით შემკობა, ასწავლის პავლე მოციქული ქალთა, და არა ფერისა ცხებასა.

მოისპოს და განქრეს თქჳენ შორის, დანო და დე-დანო, ეს ავი ჩჳეულება, რომლისათჳს გვეცინიან და გა-ნგვკიცხავენ ჩჳენ განათლებული პირნი. მრავალ გზის მითქვამს მე, რა დიდი სიკეთე არის საზოგადოებისათჳს, რომელსაც მას შინა არიან ქალნი კეთილნი, აღვსებულნი მადლითა ქრისტიანობრივითა. განათლება და კეთილი ზნეობა საზოგადოებისა არა წარემართების, უკეთუ ქალ-ნი არ არიან განათლებულნი და წინა მძღოლნი ყოველსა კეთილსა შინა ზნეობასა, ყოველი კეთილი გონიერი და ღჳთის მოყჳარე ქალი განანათლებს და მოაქცევს ყოვე-ლთა გარემოს მისსა, იგი მოაქცევს და განამტკიცებს სათნოებასა შინა ყოველთა მისთა მახლობელთა, ერთს

კარგს მაგალითს გეტყჳ თქუენ ამაზე, ვიცით ჩუენ ყოველთა რა დიდი მნათობი იყო მღუდელთ მთავარი გრიგორი ნაზიანზენი, ღუთის მეტყუელად წოდებული, დედა წმიდისა ამის მწყემსთ მთავრისა, იყო სათნო და პატიოსანი ქრისტიანე; გარნა მამა მისი უწინ იყო კერპთ მსახური, რომელსა ფრიად სძულდა ქრისტიანობა, დიდი მეცადინეობა და გონიერება იხმარა კეთილმან ამან ქალმან მოქცევისათჳს მისისა მეუღლისა, არ დასცხრებოდა იგი დღე და ღამე ვედრებად და მხილებად მისა, ზოგჯერ მოფერებითა და მრისხანებითა, და ყოველითა სახითა; ესოდენი ღონე იხმარა, რომელ მოაქცია და გააქრისტიანა იგი. ესრე ვითარნი დედანი მრავალნი იყუნენ პირველთა შინა საუკუნეთა: მრავალთა განათლებულთა და კეთილ გონიერთა დედათ მოაქციეს და აცხოვნეს მეუღლენი მათნი, ძმანი, ძენი, ნათესავნი პატიოსნითა მათითა ხასიათითა და ყოფაქცევითა, შენცა ესრეთ უნდა მოიქცე ქრისტიანე ქალო, როდესაც ხედავ რამეს ცუდ ჩვეულებას ან ყოფაქცევასა შენისა მეუღლისა, ანუ ძისა, ანუ მახლობელისა კაცისასა, უნდა ეცადო და მოაქციო იგი. ისმის ამ ჩუენ ქალაქში, რომელ ზოგიერთნი პირნი ოჯახის პატრონნი თამაშობენ ქაღალდსა და ბევრს ფულს აგებენ.—სირცხვილი არ არისა შენთჳს, ჰე ქალო ქრისტიანეო! უკეთუ მეუღლე შენი ესრეთ აბნევს ქონებასა, რომელიც შენ და შენთა ძეთა უნდა მოახმარო? როგორ უნდა მისცე ნება დააცალო, რომ მან ქაღალდი ითამაშოს? რა საკჳრველია, რომ მეუღლესა შენსა აქუს სიყუარული შენი: შენცა გექმნება გავლენა მასთან, ისარგებლე ამით, რათა მოაქციო იგი ცუდისა ჩვეულებისაგან, და ესრეთ კეთილად აღასრულე დიდი იგი მნიშვნელობა, რომელი მოგცა შენ ქრისტემან. ამინ.

# რევაზი და ნინო.

## პოემა

### დრამა სამს მოქმედებათ.

### მოქმედნი პირნი:

კნეინა ბარბარე—ქვრივი. } ქართული ტანისამოსით.
ნინო იმისი ქალი. }

რევაზი ნინოს საქმრო.

კიკო შორით ნაცნობი რევაზისა. (რუსის ტანისამოსით.

ვახტანგი რევაზის მეგობარი. (ქარ. ტანისამოსით.

ვოენის დოკტური.

მოახლე და მოსამსახურე. (ქართ ტანისამოსით.

---

## ძ ღ ვ ნ ა.

საყვარელნო მკითხველნო მე თქჳენ გიძღვნით დრამასა,
თუ შეამჩნევთ დრამაში, ზოგიერთს შეცდომასა,
ბოდიშს ვითხოვ მომიტევთ არ დამიწყებთ მტრობასა,
მოვრიგდებით, როდესაც შევხვდებით ერთმანერთსა.

# რევაზი და ნინო.

## პოემა

## მოქმედება პირველი.

### გამოსვლა პირველი.

(სცენა წარმოადგენს ოთახს მარჯჳნივ და მარცხნივ თითო კარებით, იდგება მდივანი, მდივანის წინ სტოლი და კრესლები)

რევაზი (შტატსკური ტანისამოსით დაწვერით. ფიქრის შემდეგ.)

ოჰ! მნათობო მზეო მზეო, შენაშვენებ ქჳეყანასა,
შენგნით ბრწყინავს ბნელი მთვარე, შენ ანათლებ ვარსკვლავებსა,
მოღრუბლდები მოვღრუბლდებით. დაღონდები დაგვაღონებ,
დაშვენდები გაგვახარებ, აყვავდები გაგვაცოცხლებ,
ნეტავი თქჳენ მნათობებო: მზეო, მთვარევ. ვარსკვლავებო,
რომ უტყვი ხართ უგრძნობელნი, მხოლოდ გვაშვენთ ლამაზებო.
ვაი! კაცსა საცოდავსა, რომელიც გრძნობს ყველაფერსა,
ჭკუაცა აქჳს. გონებაცა, სწევს საწყალი სულ ჯაფასა.
დაბადებით დაწყობილი სიკჳდილამდინ შრომაშია,
პატარობით სწავლაშია, მოხუცდება ტანჯჳაშია.

სამოც წლამდინ, ოთხმოც წლამდინ, იტანჯება სულ საწყალი;
და მის შემდეგ კაცმა იცის უბედური გზა და კვალი:
ხნით და ჯანით დაბერდება, თავზედ თმები, უთეთრდება.
ტანჯვის შემდეგ საცოდავი პირუტყვსავით ხმება კვდება.
სწორეთ სანთელს ვემსგავსებით, რომ ავანთოთ გამოჩნდება
მასალა, რომ დაიწვება სანთელიც ჩვენ გაგვიქრება,
მიკვირს რაღათ ვიბადებით თუ, რომ კაცი მით თავდება,
უფრო სჯობდა არ გვენახა ჩვენი ეს უბედურება.
მნათობებო! მნათობებო ჩვენსავით ცაქვე თქვენც სამძღვარი,
თქვენც დაჰკარგავთ ბრწყინვალებას ყველას ბოლო აქვს ამ გვარი.
ოჰ! ბუნებავ გიხაროდეს მარტო შენა ხარ უკვდავი,
მაგრამ ჰგრძნობკი ბატონობას?არა არა, შენც ხარ უტყვი!
რა ქნას კაცმან გონიერმა შრომით კვდება საცოდავი.
ერთის სიტყვით შებრალებით კაცმა ეს უნდა გამოსთქვას:
ვაი! ძმებო ჩვენს კაცობას, ვაი! ვაი! ამ ცხოვრებას,
ვაი! ძმებო ქვეყანასა, ვაი, მის მიმართულებას!..
ხედავთ? კაციც ამაოა რით თავდება ჩვენი ბედი.
ამის შემდეგ ჩვენ დავფიქრდეთ რიღასი გვქონდეს იმედი?
რაღას უნდა გამოუდგეს ყველა კაცი ანუ ქალი?
მოგახსენოთ რა გვაკლია: განათლება, სიყვარული
მე ბევრს ვისმე მეგობრები ხალხთათვის [illegible]
რომ ქალებზედ არ [illegible] მხოლოდ ამ გვარი.
ქალს მე უფრო [illegible]

ვიდრე ქალსა ცუდ სახისას, სჯითგი ჭკვიანდეს გონიერსა
ჩემის ფიქრით ეს ცოლქმრობაც უნდა ამ გვარად სწყდე-
ბოდეს:

თუ კაცს ქალი მოეწონოს, ქალსკი კაცი არ მოსწონდეს,
აღარ უნდა გამოუდგეს მაშინვ თავი დაანებოს;
კაცმა გული იმ ქალს ანდოს, რომელ ქალმაც შეიყუაროს.
ბედია, რომ შემიყვარდა ნინო, სახით მშუენიერი,
ზედაც მე არ შევხედამდი ყოფილიყო უგუნური
განათლებას რას ემახით ნეტავ ვინმე მიპასუხოს?
იქნებ ამას: ქალმა, კაცმა ფრანციცულათ იტიკტიკოს,
თავის ენა არ იცოდოს, ანუ თავი გაირუსოს?.
სცდებით ყველანი ძალიან ეს არ გახლავთ განათლება,
ყველა რუსიც მართებული, შეგვიბრალებს ამ აზრზედა
განათლებულს მას ჰქვიან: ვინცა ზრუნავს სამშობლოსა-
თჳს,
ვინც დიდ გულობს თავის ენით, ვინცა შრომობს ქუეყა-
ნისათჳს.

გამოსვლა მეორე.

ნ ი ნ ო.

(ქართულად თავ დახურული შემოდის.)

ჩემო რევაზ, რა კარგათ სჯი ყურს გიგდებდი მე
სულ გარეთ,
ყველაფერში გეთანხმები რაც გამოსთქვი ეხლა ცხარეთ.

რ ე ვ ა ზ.

დამიჯერე ნინო! ნინო! საყვარელი მგირუვასია.
არათ მარტო ხვევნისათჳს მეგობრობაც საჭიროა

მე სიყჳარულს არ ვეძახი, რომ ვეტრფოდე საყვარელსა.
სილამაზით ვგიჟდებოდე და ვხდებოდე ქალისთჳსა;
ეს სრულებით მე არ მამწონს არვის დავსომ ჩემს ბა-ტონად,
ქჳეყანაზედ ამას ვეძებ, რომ მე ვიყო თავის-უფლად,
რომ მიყვარდეს ვინმე ქალი, ანუ ქალსა მე საწყალი,
სიტყჳთკი არა საქმეზედ, ჩჳენ ვამტკიცოთ სიყვარული.

ნ ი ნ ო.

ნუ გგონია ჩემო რევაზ ყველა კაცი მაგრე სჯიდეს,
როდი იცნობს ამ ქჳეყანას ყველა ცდილობს ბორო-ტობდეს.
მანამდისინ არას ჰფიქრობს, როდესაც რომ დაბერდება,
დაინახავს ხორცით ჭკნება, გულიც ვეღარ იცემება,
იტყჳს: კაცო შენ რა გარგე, ოჰ! ვაიმე და გაქრება,.
არც ვინ იცის მის სიკჳდილი, არც სახელი მისი რჩება,
თუ, რომ ვარგე რითმე კაცსა ანუ მყვანდეს საყჳარელი,
მე გარწმუნებთ, რომ მოვკვდები ეხსომება მას სახელი,
როდესმე დროს მამიგონებს იტყვის: იყო კარგი ქალი.
ხედავთ რათ არის საჭირო სწავლა, ძმობა, სიყჳარული!
ჩემო რევაზ სწორეთა გსჯი მიპასუხე რას დაფიქრდი?

ქ ე ვ ა ზ

ნინო! შენში მე არ შევსცდი გეტყჳ გულით შემი-ყჳარდი,
მე შენ გარჩევ მეგობრათა შენგნითაცა მაქჳს იმედი

ნ ი ნ ო.

რევაზის მზეს გეფიცები დიდი ხანია მიყვარხარ.

რ ე ვ ა ზ.

ერთის სიტყვით ნინო გეტყვი: მე შენი ვარ, შენ ჩემი ხარ,
მიპასუხე არ შემცდარვარ?

ნ ი ნ ო.

კარგი რევაზ მეც თანახმა ვარ. . .

(ჰკოცნიან ერთმანერთს და ნინო გადის.)

რ ე ვ ა ზ.

ეხლა წავა უთუოთ გამოუცხადებს დედასა,
გავსწევ მეც მივალ ვახტანგთან და უამბობ ჩემს ამბავსა.

(გადის)

გამოსვლა მესამე.

ბარბარე (შემოდის ქართულად თავ დახურული)

მამწონს რევაზი კარგი შვილია,
მხოლოდ სამსახურს არა კადრულობს,
მაგრამ სწავლითკი ბევრსა სჯობის.
რა რიგათ უყვარს ჩემი ნინუცა,
ფიცით შევიტყე მითომც მიეცა,
მიკვრს ნინუცას მე სიყვარული,
როცა რევაზი რომ აქ არ არის,
საწყალი ზის სულ დაღონებული.
რა დაგემართა ვკითხამ მე იმას
თქვენ არ მამიკვდეთ არა მცემს სიტყვას.

გამოსვლა მეოთხე

ვახტანგ (წიგნით შემოდის ქართულათ ჩაცმული)

ეს არის ეხლა რუსეთიდან ფოსტით დაბარებული მქონდა.

ბ ა რ ბ ა რ ე.

შენი ჭკუითვე გამოვიცნობ, მითხარ რის წიგნებია?

(ვახტანგი წიგნს აძლევს)

ბარბარე (კითხულობს [illegible])

ვეფხისტყაოსანი [illegible] რომ [illegible] ქალი მიყვარს,
უჭკუობლად [illegible] [illegible] ეტყვის უარს.
სწორედ მე [illegible] [illegible] [illegible] წყალსა.
მაგრამ რა გაუწყობა ამ ჩემს გულდაწყლულებას;
მე საქმე მაქვს მივდივარ, აქედგან იმერეთში,
მერმე რომ დავბრუნდები ჯვარს დავიწერ ქალაქში.

თქმული რევაზისა.

ბ ა რ ბ ა რ ე

ამხანაგი რაც მამივიდა გარეკია მადლობა ღმერთისა,
იქნება ნინოს ეწყინოს, რომ აგვიანებს ქორწილსა?

ვახტანგი

რასაკვირველია მაგრამ ნინო ვერ ეტყვის უარსა,

ბ ა რ ბ ა რ ე.

ეხლა აქედგან წავიდეთ და მოვიფიქროთ ჩვენთვისა

(ორნივ გადიან),

გამოსვლა მეხუთე.

რ ე ვ ა ზ.

ღმერთო რა უბედურება ემართება ჩემს თავსა,

უნდა მოვშორდე მე ჩემს ნინუცას, გულსა და ვარდსა,
დიდხანს ვერ ვნახავ იმის ხელებსა, ლამაზ თჳალებსა,
უნდა მოვშორდე ჩემს სიცოცხლესა და საყჳარელსა,
მაგრამ რა ვქნათ გამოუცხადებ ჩემს სურვილს ნინოსა.

გამოსჳლა მეოთხე

ნ ი ნ ო (შემოვა და იმღერის).

სადაც შენ წახვალ თან გამოგყვები,
სადაც მოვკვდები იქ ვიმარხები,
თუ შენ ილხინებ, მეც გავიცინებ,
თუ დაღონდები, მაშინ ვიტირებ
უშენოთ ლხინი არ მიამება,
რომ გხედავ გული მე მიცოცხლდება,
როცა არა ხარ თვალთ მიბნელდება,
უშენოთ სული, გული მიხმება —

ნ ი ნ ო (რევაზს მიახლოვდება)

რათა ხარ ეგრე დაღონებული
რამ შეაწუხა ეგ შენი გული?

რ ე ვ ა ზ.

ჯერ უნდა ათჯერ ამოვიოხრო,
მერმე შეიტყობ არს საწუხარო.

ნ ი ნ ო.

ჩემო რევაზ მითხარ, რა გაქვს გულში დაფარული,
რა მიზეზია, რომ ხარ უწყალოთ მოწყენილი?

რ ე ვ ა ზ.

ერთ საქმეზე შენ მინდოდა, ნინო შემიწყალე.

ნ ი ნ ო .

კარგი ბრძანე ეგ შენი დარდი,
უეჭველათ რასმეში მე მცდი.

რ ე ვ ა ზ .

სწორეთ მითხარი მე შენ გიყჳარვარ?

ნ ი ნ ო .

ოჰ! რას მიბძანებ დიახ მიყჳარხარ.

რ ე ვ ა ზ .

გჯერამს რომ შენის მეტი საყჳარელი არა მყავს?
იცი და გრძნობ კიდეც, რომ უშენოთ მე მკჳდარი ვარ?

ნ ი ნ ო .

აღარ გახსოვს, რომ გითხარი მიყჳარხარ,
შენც რომ სთქჳ: მე შენი ვარ, შენ ჩემი ხარ.
რევაზ, შენსავით ცივი გული როდი მაქჳს,
მე ქალი ვარ, ჩჳენ სიყჳარული უფრო გვწავს,
გმარა, ნუღარა მტანჯავ საცოდავს,
ოჰ! ვეღარ უძლებ ბევრს მოთმინებას,
ჩქარა დამახრჩე თუ ჰკლავ ნინუცას,
უფრო სჯობია უბოლო ტანჯჳას. . . .

(ტირის)

არა ნუ მეტყჳ ნუ გამაგონებ მწუხარებასა,
მე ეხლა ვტირი გული არა მაქჳს ყურის გდებისა,
მერმე შევიტყობ უეჭველია სულ შენსა აზრსა.

(ნინო გადის)

რ ე ვ ა ზ .

ხედავთ რა რიგათ ეწყინა საწყალს ნინუცას?
ოჰ! ჭეშმარიტათ უყვარხარ გულით შენს რევაზს.

(მღერის)

ჩემო ვარსკვლავო მიყჳარხარ გულით,
ყმაწჳლი კაცი ვკჳდები სრულებით,
და ვიკარგები შენგან მე შორით,
აღვსწერ სიყჳარულს ტკბილის სიტყჳებით:

ვინა გსჯობს ქალო შენ სილამაზით,
შავთჳალ წარბებით, ხუჭუჭი თმებით,
სინათლე პირზედ გადგას მზისავით;
რამდენს აგიყებ კაცს შენის ქცევით.

შენი ნაზი ხმა რასაც მიბძანებს,
ათასსა მტერსა დაუთხრი თვალებს
მკლავს სიყჳარული. გულსაც მიწუხებს.
სურვილს ეს გული შენ აღგისრულებს.

მე ამ ალერსით შენ გატყობინებ,
ვიცი სიყჳარულს გულს აგრძნობინებ,
შენთჳს მოვკჳდები თუ მით ილხინებ
ოღონდ მიბძანე ვისიამოვნებ.

რ ე ვ ა ზ.

ეხლა დრო არის მე წავალ საგზაოდ ბარგს მოვამზადებ.

(გადის.)

გამოსჳლა მეშჳდე.

ბარბარე და ნინო.

ბ ა რ ბ ა რ ე.

არ წაგიკითხავს ნინუცა რას იწერება რევაზი?(წიგნს აძლევს)

ნ ი ნ ო. (მაღლის ხმით კითხულობს.)

გეცოდინებათ კარგათ, რომ თქუენი ქალი მიყუარს
უეჭუელათ არც ნინო მაგაზედ იტყჳს უარს. . .

(მერმე ჩუმათ დააბოლოებს)

ნ ი ნ ო.

თუ არ მოვკუდები დაუცდი მეტი რაღა ღონეა
და იმის მეტი არცა მყავს, არცარა მაბადია.

გამოსვლა მერვე.

(იგინივე რევაზ საგზაო ტანისამოსით შემოდის, ვახტანგი და კიკო.)

ბ ა რ ბ ა რ ე. (რევაზს ჰკითხავს.)

მოემზადეთ საგზაოთ თქუენ ეგრე მალე?

რ ე ვ ა ზ.

გიახლებით ბატონო თქუენი ჭირიმე.

(ამ დროს კიკო ფარისეულად იყურება აქეთ-იქით).

ბ ა რ ბ ა რ ე.

რა საქმე მიგაშურებსთ, ერთი მიბძანეთ.

რ ე ვ ა ზ.

ყური მიგდეთ ბატონო მე სწორეთ მოგახსენებთ.
ფულებისთჳს მივდივარ ანგარიშის საქმე მაქუს,
ქუთაისში ერთს თავადს დიდი ფული ჩემი აქუს;
ფულის გარდა მივდივარ მივხედო მამულს ჩემსას,
ერთი წლის შემდეგა თქუენ თავს დაგიკრავსთ რევაზ.

(ყველას ესალმება.)

ბ ა რ ბ ა რ ე (ეხვევა რევაზს.)

მშვიდობით ჩემო რევაზ ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს ბედნიერად გამყოფოს და ხელი მოგიმართოს.

რ ე ვ ა ზ (გიგოს ხელს აძლევს შემდგომ ვახტანგს ყურში უჩურჩულებს და ნინოს ხელზედ კოცნის)

მშვიდობით ნინო ნახვამდე. (ნინო ტირის ყველანი გადიან და ყვირიან მშვიდობით ვახტანგის გარდა)

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი (საზოგადოებას)

რევაზმა მითხრა საწყალმა შენ ყური უგდეო გიგოს ღმერთსა ვფიცავ ვერ მივხვდარვარ ეს თხოვნა რა უნდა იყოს.

ფ ა რ დ ა ჩ ა მ ო ი შ ვ ე ბ ა.

## მოქმედება მეორე.

სცენა წარმოადგენს ისევ იმ ოთახსა, სადაც იდგება მდივანი, სტოლი კრესლები.

### გამოსვლა პირველი.

გიგო (შტატსკური ტანისამოსით ჩაცმული)

გასწია კიდეც ჩვენმა რევაზმა,
მგონია ნინო სულ ეჩვენება,
ქალის ტირილი მშვენიერება,
ამის ნაზი ხმა სულ აგონდება,
სიყვარულისგან ხან დაფიქრდება,

ხან სულ მგონია გული უსკდება,
მაგრამ მე ვიტყვი ნუ ეწყინება,
რომ ჩემი ცოდო მას გარდახდება,
იქნება კიდეც ის დაავიწყდა,
ჩუ̂ენ რომ ქალაქში ჩხუბი მოგვიხდა,
მერმე რა მიყო რა დამიშავა
შეურილობაში მე გამაშავა,
ის ამტკიცებდა ჩემს ავ კაცობას,
უნამუსობას ავაზაკობას,
მე თქუ̂ენ გარწმუნებთ სულ ყურს უგდებდი
ჩუმათ ვიყავი ხმას არ ვიღებდი,
გამოსვლის დროსა გულში ვამბობდი:
ეხ! ძმაო რევაზ მეც გარდაგიხდი.
აქამდისინ მე სულ დროს უცდიდი
ისიცა გმარა რაც რომ შევსწუხდი,
ეხლა კი ყველას გამოუცხადებ,
რომ შენს ნინუცას დაგაკარგვინებ. (ფიქრის შემდეგ)
რას გემართლები საწყალს ნინუცას,
დიახ მე ვახდენ საშინელს ცოდვას,
მაგრამ ვერ დავშლი ამ მშუ̂ენიერ აზრს,
რევაზ გაიცნობს უბედურებას. (გადის)

გამოსვლა მეორე.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი.

საშინელება ყოფილა კაცი რომ მარტოკა რჩება,
ოჰ! მეგობარო შენთან არს ჩემი გული და გონება.
მეგობრისთანა საჭირო, არც ნათესავნი ყოფილან,

მას გარდა ნურვის ენდობით. ყველანი გვეფერებიან,
დიაღ ძმობილი ისა არის, ვისაც სურს ჩემთჳს კეთილი,
თუ რომ ეს მშობელს არა სჭირს, ნულარ გგონიათ მშობელი,
ვინც ქმეჲს გულის მეგობარს უნდა, რომ ამგვარი ჰპოვოს:
შენს მოშორებით იწვალოს, ძმობურათ მან შეგიყუაროს,
გაღარიბდები გიშველოს, გაჭირებაში გალხინოს,
თურომ მტერს ვეღარ ერევი, სცდილობდეს გარდაუხადოს,
ზეგრჯელ ნუ იტყჳს მიყუარხარ, ერთხელ სთქუას მაგრამ გაამოს,
ეს უნდა სჭირდეს მეგობარს მხოლოთ მის პოვნა ძნელია,
თუ, რომ შეგხვდებათ ამ გვარი, ძმაზედაც საყუარელია.

გამოსვლა მესამე

კიკო (დაბლა ხმით)

ფიცხათ ახსენებს მეგობარს, სჩანს, რომ კაცი მოცულილია.—

(ვახტანგი ხელს ჩამოართმევს)

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი .

ერთ საგანზედ ამას გკითხავ მსურს რომ კიდეც მიპასუხოს.—

კ ი კ ო .

აბა ბრძანეთ თქუენმა აზრმა იქნება არ დამაჩუმოს.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი .

ვერ მიმხუდარვარ რა გრძნობაა, ეს სამშობლო სიყუარული,
თითქმის რაღაც საიდუმლო, ბუნებითვე დაფარული,

რომ მოშორდე ნათესავსა, არ დაგეწვის ისე გული,
როგორც მამულის ობლობას იგრძნობს მთლათ შენი სხეული
შიიხედავ მოიხედავ არავინ სჩანს არც ქართველი
არც სამშობლო მშჳნიერი, გულიც გრჩება ცარიელი,
ნამეტნავათ ვაი! კაცსა, რომელთაც რომ თვის მამული:
არის ოხრათ, უპატრონოთ, მაშინ ნახე იმის ცრემლი,
ყველა კაცი გონიერი ასე არის მოყჳარული,
სამშობლოსთჳს თავს მოიკლავს ოღონდ იყოს ძღჳნა კეთილი.

გ ი გ ო .

მე სამშობლოს სიყჳარულში არ ვყოფილვარ გამოცდილი,
მაინც მაგ გვარ აზრებიდგან გული მაქჳს განშორებული.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი .

კაცი მკირათ მაწყენინებს, მაგრამ რაც ეხლა გამოსთქჳ.

გ ი გ ო .

სამშობლოზედ მოგახსენეთ ამის მეტი ხომ არა ვსთქჳ.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ,

მე შენ გარწმუნებ კაცისა, ეგ არის ნაკლებულება,

გ ი გ ო .

ჩემთვის სასიამოვნოა, რომ კაცს გაუწიო მტრობა,
ვექებ იმ გვარ მინუტებსა ვნახო ვისიმე წვალება,
გული მაქჳს მოუსვენარი ხანდის ხანაც მიამება;
უბრალო საგანზედ კაცი, რომელსაც რომ იღუპება.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი .

მაგ ხასიათს დაანებე აბა რა ლხინია მტრობა.

ვ ი კ ო. (დაბლა ხმით)

ეგ მე ვიცი ბატონო და თქუენმა ძვირფასმა რევაზმა.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი.

რაო რა ბძანეთ თქუენ ეხლა? რა გამაგონა კნიაზმა!

ვიკო (დგომით)

არა მე ეს მოგახსენეთ მე ვიცი და ხასიათმა. (გადის)

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი.

მაკვირვებს ამ გვარათ კაცი, როგორღა უნდა გაირყვნას,
რომ მტრობის მეტი იმასა, აღარაფერი არა სწამს,
არც მეგობრობა, არც ძმობა. არც გულით ვისმეს ენდობა,
სამშობლო მისთჳს ფუჭია და ყველას ის ემტერება,
რასა ჰგავს მისი სიცოცხლე, ყოვლის ფრით უბედურია,
უკანასკნელი ჭირი უტუჯ იმაზედ ყველთუსია. (გადის)

გამოსვლა მეოთხე.

ნ ი ნ ო (დაღონებული)

რათა ვარ მკითხეთ დაღონებული?
ანუ რათა ვარ თითქმის შეშლილი,
ვისი მაწუხებს მე სიყუარული?
სულ მიზეზია რევაზის გული. (მღერის.)

ოჰ! საყვარელო, ვარდი გიხმება,
უშენოთ თრბება, უშენოთ კვდება,
მანამდის მოხვალ სრულად დაჭკნება,
უწყალოთ საწყალს გული —უდნება

შენ, რომ მოფრინდე გაუხარდება,
გულის ტკივილი დაუამდე;

თორემ უშენოთ თითქმის იცვლება
სიწითლე შენს ვარდს სულ წაუხდება.

შენ, რომ ეჩვენო გაიფუჩქნება
სიმშჳენიერე დაუბრუნდება,
ბულბულისავით მოგიფრინდება;
ლამაზი გულიც გაუცოცხლდება! . .

გამოსვლა მეხუთე,

ვახტანგი და ბარბარე.

ბ ა რ ბ ა რ ე.

საწყალს რევაზი რა რიგათ უყვარს,
ზის მარტოკა სულ და არ იღებს ხმას,
ჩემს გაჩენაში მე არ მინახავს:
ქალმა კაცისთჳს, თავი მოიკლას.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი. (გრძნობით.)

მე თქჳენ გარწმუნებთ რევაზსაც უყვარს.
კაცის სიყვარულს სულ გულში მალავს,
როდი აჩვენებს ქალს თავის ტანჯვას.
ერთი მიბძანეთ ვისთჳს კვდებოდა?
ან ცისმარე დღეს რათ იშლებოდა?
ბევრჯელ მინახავს რევაზის ცრემლი,
და მოსდიოდა გულის ფრიალი.
რა მიზეზია ან რათა სწუხდა?
ვიცი, ნინოსთჳს სულ თავს იკლავდა.
დიდათ მაწუხებს მეუბნებოდა:

ნინოსგან წასვლა და მოშორება. . .

ბ ა რ ბ ა რ ე. (სურვილით)

რევაზ აქედგან, რომ მიდიოდა
ყურში რაღაცას გიჩურჩულებდა?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი.

ყური უგდეთ კიკოსი მითხრა:
კიდეც საწყალმა ამოიოხრა. . .

ბ ა რ ბ ა რ ე.

რას დეეთრევა ჩუ̂ენთან რა უნდა?
სჩანდა, რომ რევაზს ემდურებოდა.

ვ ა ხ ტ ა ნ გ.

რა მოგახსენოთ კიკოს ამბავი,
მახსოვს შორიდგან მაგას ვიცნობდი,
ყველა ახსენებს მაგის სახელსა:
როგორც ბორტსა და ავსა კაცსა.

ბ ა რ ბ ა რ ე. (უსიამოვნებით.)

დასწყევლოს ღმერთმა ეგ ვინ ყოფილა?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი.

ეხლა იქნება ის გამოცვლილა.

ბ ა რ ბ ა რ ე.

დროა წავიდეთ ნინოს შევხედოთ
შინ მარტოკა ზის გავსიამოვნოთ. . (ორნივ გადიან).

## გამოსვლა მეექვსე

კ ი კ ო (დიდის გრძნობით.)

საკვირველია ვხედავ აშკარად,

რომ მე ვიქცევი ამათთან ცუდად.
ვიცი, რომ ვღუპავ საცოდავებსა
ორნივ დაჰკარგვენ გულის წადილსა.
რას ვემართლები დედაკაცებსა?
ანუ ნინუცას ან მის დედასა?
რას ვემართლები ამათ რევაზსა?
ლანძღვის გულისთჳს მე ვკლავ იმასა;
მაგრამ რა ვყო ჩემს ხასიათსა
ვერ მოვერევი მე ბუნებასა . . .
დიდი ხანია ჩხუბი მოგვიხდა
მაგრამ აქამდის ვერ დამავიწყდა,
შევფიცე კიდეც, რომ გარდაუხდი —
ეხლა ვიფიქრებ როგორ დავიწყო
მათ სიყუარული რით უნდა გავყო . . (ფიქრობს )
(სიხარულით.)
მადლობა ღმერთსა ძლივს მოვიფიქრე,
რა რიგათ ეხლა მე გავიხარე.
ხვალვე მოვახდენ ჩემებურათა,
და მით ცხოვრებას გავხდი დრამათა!! .(საჩქაროთ გარბის)

## გამოსვლა მეშჳდე.

ნ ი ნ ო.

გულში მე სულ ვთვლი რაც დრო გავიდა,
როგორც რევაზი ქალაქს გაშორდა —(ფიქრობს).
დღეს სწორეთ ხუთი თვე შეუსრულდა. .
(გოგო შემოდის წიგნით.)

ნ ი ნ ო (განკვირვებით.)

რა უნდა გოგოს, რომ შემოვიდა! (გოგოს).
ეგ წიგნი მე ხომ არ მომივიდა? (გოგი წიგნს აძლევს)

გ ო გ ო.

თქუენი ჭირიმე რა მოგახსენოთ!

ნ ი ნ ო. (სიხარულით).

რევაზის წიგნი არის უთუოთ!. (ხსნის და კოცნის)

ნ ი ნ ო.

საყუარლის წიგნი ძლივს არ მეღირსა,
ანა რასა მწერს ახალ ამბავსა,
რით გაახარებს დაჩაგრულ გულსა (კითხულობს ჩუმათ).

ნ ი ნ ო . (შიშით)

ჯერ არაფერი არ მეუურებსა? (ჰკითხულობს).

ნ ი ნ ო . (ეჭვით).

ოჰ! რა მესმის გული მისქდება,
ბოლოს მოიცადეთ რაღა იქნება;

ნ ი ნ ო . (კითხულობს.)

მიშველეთ გული მე მიწუხდება!..
(წიგნს ხელიდგან აგდებს კრესლაზედ წამოწვება მერე მოუ-
ბრუნდება)

ნ ი ნ ო (გაკვირვებით)

ღმერთო რა იყო რა დამემართა,
კინაღამ სული ამომივიდა..
შენ ჩემო თაო! რევაზ მომკუდარა,
ჩემის საყუარლის სული გამქრალა.
მწერს რომ კვდებიო ნუ შესწუხდები,
ქმარი შეირთე შეუყვარდები.

არა რევაზო, ჩემიც გათავდა,
ეხლა ჩემს სულსაც ყველა მოსძულდა;
საწყალს ეგონა მეკი დავრჩები?
მე შენ გარწმუნებ თუ არ მოვკჳდები!
მაშ მე აქედამ დავიკარგები,
სულ ამ ქჳეყანას დავემალები,
არც კაცს თავის დროს დავენახვები,
გავწევ ტყეებში დავიმარხები!!. (ცრემლს იწმენდს).
ბევრი ტირილი არაფერს მარგებს,
უნდა რომ სრულად გული გამისქდეს;
ჩემთჳს სიკჳდილი რით სულ ერთია,
ტანჯვით ყველაზედ უფრო ძნელია. . (გოგო შემოვა)

ნ ი ნ ო (გოგოს)

ჩემო მარინე მე დამიჯერებ?
რასაც მე რომ გთხოვ შენ ამისრულებ?

გ ო გ ო.

უარს თქჳენმა მზემ ვერ მოგახსენებ.

ნ ი ნ ო.

მე შენ ამას გთხოვ: საქმრო მომიკჳდა,
წიგნი ის იყო რომ მომივიდა,
რომ წავიკითხე გული გამისქდა
თითქმის სიცოცხლეს სული მოშორდა,
ყველა მომძულდა მწუხარებისგან
დავიკარგები სადმე აქედგან.
წამომყე შენცა თუ მე გიყვარვარ!

გ ო გ ო.

რა თხოვნა მინდა და პატრონი ხარ

ნ ი ნ ო.

მაშ წადი ბარგი შენ მოამზადე
მზათ რომ იქნება გამომიცხადე (გოგო გადის.)

ნ ი ნ ო (მწუხარებით).

რითა დავლება ჩემი ცხოვრება,
რა რიგათ მოხდა არ მეყურება?
კაცს რომ მოუა უბედურება,
უეჭველია აუსრულდება. .
მშჳდობით დედავ ნუ გეწყინება,
ვიცი გაგცევა არ გიამება,
მაგრამ რასა ვიქ შენი ჭირიმე,
მომიკუ̂და გულის საყუ̂არელი მე! . (გოგო შემოდის)

ნ ი ნ ო (გოგოს.)

ყველა მზათ არის აბა წავიდეთ!. .
ჩუმათ გავიდეთ არავის შევხვდეთ? . .
(ცრემლებსა იწმენდს და გადის)

გამოსვლა მერვე.

ბ ა რ ბ ა რ ე და ვ ა ხ ტ ა ნ გ ი.

ბ ა რ ბ ა რ ე.

საკჳრველია ნინო სად არის? (წიგნს უყურებს)
აგერა ვახტანგ ის რაღა არის?

(ვახტანგი წიგნს აიღებს და წაიკითხავს მაღლა ამ წიგნის კითხვაში საშინლათ იტანჯება ბარბარე. ხან ვახტანგს შესცქერის ხან უკან მიიხედამს და ხან თავზედ ხელებს დაიდებს.)

## მჯრფასო ნუცა!

პირველი წიგნით ნინუცავ თითქმის მე უნდა გახარო,
რომ წაიკითხავ შეიტყოვ, რომ არის მანდ სამწუხარო.
განკალითა გწერ ამ წიგნსა და გული მიცემს მე ძლივსა,
დღეს მოშორდები ან ხვალა ამ მშვენიერ ქვეყანასა.
ნუ შეწუხდები ნინუცავ, რომ შეიტყობ ჩემს სიკვდილსა,
მოირთვე კარგათ, ლამაზათ იშოვნი უკეთეს ქმარსა;
თუ რომ ქმარს აღარ შეირთავ არ ეყვარები რევაზსა;
მე ხომ დღეს სრულად გავქრები მოვშორდები მე სი-
ცოცხლესა! .

შენი რევაზი.

ბ ა რ ბ ა რ ე (ყვირილით)

მიშველეთ ნინო სად არის უბედურება მოსვლია!
(გარეთ გარბის)

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი (პუბლიკას.

არა თქვენმა მზემ მე ვიცან ეს სწორეთ კიკოს ხელია,
რევაზის მაგივრათ წიგნი, იმ ყმაწვილს დაუწერია;
რომ წავიკითხე შევიტყე მაშინვე, რომ სულ ტყუილია,
მე თქვენ გარწმუნებთ ეხლაცა რევაზი რომ ცოცხალია?!
ნინუცას მართლა ეგონა, ხედამთ რა უბედურია?
საწყალი სად გაქცეულა სრულებით კიკოს ბრალია.
გაფიცხებული)
მე გარდუხდი იმასა შევიტყოვ ვინც მიზეზია!!

(ფარდა ჩამოიშვება)

# მოქმედება მესამე.

სცენა წარმოადგენს პატარა ტყეს, მარჯვენივ ტყეში იდგება უბრალო ხის სახლი კიბით.

## გამოსვლა პირველი.

ნ ი ნ ო. (კიბიდგან ჩამოდის დაღონებული)

გამოვესალმე ქვეყანას, დაკარგული ვარ ტყეებში,
ვგდივარ მარტოკა ამ სახლში. როგორც რომ ჩიტი ბუდეში,
ვინ არის ჩემი პატრონი ამ საშინელსა მინდვრებში,—
დღეს ცოცხალი ვარ ხვალ ვინმემ იქნება ჩამაგდოს წყალში.—
რამდენი ხანი გავიდა, როგორც მოვშორდი მამულსა,
ვინ იცის როგორ სცხოვრებენ, რა დაემართა მშობელსა
ოჰ! საყვარელო რევაზო, მეცა ვშორდები სოფელსა,
დიდი ხანია მკვდარი ვარ მხოლოდ ვაგრძელებ ტანჯვასა.
ჩემი ღვთის თხოვნა ეს არის მოვშორდე მე სიცოცხლესა,
მაქვს საიქიოს იმედი, შევხვდები ჩემს საყვარელსა.

(კიბეზედ ზევით ავა ნინო,)

## გამოსვლა მეორე.

(ბოლოს სცენაზედ გამოჩნდება რევაზი ჯოხით, ორივ თვალებით დაბრმავებული, თან ეკიდება დამბაჩა შუბაში გახვევული და იმერლის ბიჭი იმერულად ჩაცმული.)

რ ე ვ ა ზ ი (მღერის)

ბედნიერი ვარ ვეღარ ვხედავ, მე წუთ სოფელსა,

ვეღარც მეგობარს, ვერც ძმასა, ვერც საყჳარელსა
ვინ იცის სოფლათ რამდენ ტანჯჳას გამოივლიან,
იმათზედ უფრო გული მეწვის მებრალებიან.

ზოგსა ჰგონია ამ სოფლიდგან საგძალს გაიტანს
ცრუის ფიქრისგან საცოდავი სტანჯავს გულსა და ჯანს;
ან საკუთრებას ამ სოფლათ გამოისახავს,
ის კი არ იცის შავ მიწის მეტს ვერას წაიტანს.

ოჰ! დამიჯერეთ მეგობრებო ჩჳენი ცხოვრება,
რომ სულ ფუჭია და სიცოცხლე სიზმრათა ქრება.
როგორც ყვავილი იფურჩქნება და მერმე ჭკნება,
ყმაწვილი ქალიც ჯერ აღყვავის, შემდეგ ხდება.

კაცი ის არის ვინც სიკჳდილსა არ ემალება,
ვინც, რომ უშიშრათ და ყოჩალათ მას დაუხვდება,
ნეტავ მოვიდეს ის სიკჳდილი მე მენატრება,
რომ მოვაშორო წუთ სოფელსა ყმაწვილ კაცობა.

იქნებ გეგონოს გეფერები ოჰ! კაცის მტერო,
რომ ვერას ვხედავ, ხან ბოროტო, ხან მშჳენიერო;
ოჰ! ბუნებავ შე გიუივი კაცის მტანჯველო,
შენ ხარ მიზეზი ყოვლის ფრისა შენ უგრძნობელო.

ნ ი ნ ო . (ამ ხმაზედ კისიდგან გამოვარდება.)

ვისი ხმა მესმის ეს მშჳენიერი, ან ვინ დასტირის
უბედურებას,
ვის დაუკარგავს ყმაწვილ კაცობა, ვინ ემდურება თავის
ცხოვრებას,

თითქმის საწყალი მთლათ მწუხარებას, უსხნის ხელებსა და
მთელს ბუნებას.

(გაშტერებული უყურებს,)

ვინ უნდა იყოს დაბრმავებული, აგე იქ, რომ სდგას.
მაგრამ ყოფილა სჩანს მშუენიერი ყმაწვილობისას

(დიდხანს უყურებს და მერმე იცნობს რევაზს)

ოჰ! იცით ვინ არის? ჩემი საყუარელი რევაზია,
ერთი შეხედეთ თქუენ იმას, საწყალი სრულათ მკუდარია,
მადლობა ღმერთსა იმაზედ, აქამდის რომ ცოცხალია,
სწორეთ არ ვიცი ვინ არის, იქნება ვინმე სხუა იყოს,
თუ რევაზია შევიტყოთ თავის ამბავს, რომ დამიწყობს.

(რევაზს მიახლოვდება)

ძმაო, მითხარი ვინა ხარ საიდგანა ხარ მოსული?
თუ შეიძლება მაცნობე შენი გვარი და სახელი.

რ ე ვ ა ზ ი. (სცენას მოახლოვდებიან ყველანი)

შეგატყობინებთ მაგრამა, ამბავი დიდად გრძელია

ნ ი ნ ო. (დაბლა ხმით)

ოჰ! ღმერთო ჩემო სად დავიკარგო ხმაც იმისია,
აგი წავიკითხე წიგნში ვითომა რევაზ მკუდარია,
ვგრძნობ ჭეშმარიტად ეხლა კი მოხდენა მტრების საქმეა,
ჩემის შეცთომით საწყალი ეს კაცი უბედურია.

(ამ დროს გოგო შემოვა, ნინო ანიშნებს,
გოგო ხის სკამს გამოიტანს და რევაზს დასმენ)

რ ე ვ ა ზ.

ყმაწვილობისას სწორეთ მოგახსენოთ ვიყავ ლამაზი,
სახელსაც ჩემსას შეგატყობინებთ გახლავარ რევაზი,
შკოლიდგან, რომ გამოველ შემიყუარდა მე ერთი ქალი,

ერქვა ნინუცა სახით ჰირ მზე და გულით კეთილი.
გამოუცხადეთ მაშინვე ერთმანეთს ჩუენ სიყუარული,
ჯუარის წერაზედ დედაცა ქალისა იყუნენ ყაბულნი.
ქუთაის საქმე მამიხდა მიკწერე მე იმათ წიგნი,
წელიწადს ადრე ქორწილი, რომ ვეღარ მოხდება ჩუენი.
(ამოიოხრებს და დადგება).

ნ ი ნ ო .

და მერმე ბატონო, შემატყობინეთ ამბავი თქუენი?

რ ე ვ ა ზ . (გულს ართმევს)

შენი ნაზი ხმა საშინლად მაგონებს საწყალს ნინუცას,
რამდენი ხანი გავიდა, რომ ნინო მე არ მინახავს,
დაგიბოლოვებთ ჩემს ამბავს და ჩემსა უბედურებას,
შეგატყობინებთ ვის ვეძებ, ან ვისთვის ვიკლავ გულს და თავს.

ნ ი ნ ო . (დაბლა ხმით)

შეიტყო კიდეც ვინა ვარ, რა ეშველება საცოდავს

რ ე ვ ა ზ .

ვიცნობდი ერთს უმაწვილ კაცსა, არ გახლდათ სწორე გულისა,
არამც თუ მარტო ვაძაგებ, ვერც ერთი იტყჳს ქებასა,
მას კიკო ერქო სახელად, მიცნობდა მე ვითომც მტერსა,
ხან და ხან მეუბნებოდა: მეც გარდაგიხდი კარგ დროსა,
მე იმერეთში, რომ წავალ ის კიკო დასწერს ერთს წიგნსა,
და გაუგზავნის ნინუცას, მოაწერს ჩემსა სახელსა;
ქალი, რომ წიგნს წაიკითხავს შეიტყობს იქ ჩემს სიკუდილსა,
და ნუცა ჩემის გულისთჳს გაიქცა სხუას ქუეყანასა —

ნ ი ნ ო. (მწუხარებით)

ქალის დედამ, რომ შეიტყო ძალიან ხომ არ ეწყინა?

რ ე ვ ა ზ.

დიახ ბიტონო საშინლათ დედა ქალისთჳს შესწუხდა,
უნინუცოთა ვერ გავძლებ ამასაც მეუბნებოდა,

ნ ი ნ ო.

კიკო რომ გახლდათ მიზეზი აქამდინ ის ცოცხალია?

რ ე ვ ა ზ.

ოჰ! არა შენი ჭირიმე და ისიც ხანჯლით მკჳდარია,
ჩემს კახტანგს მოუკლავს მაშინ ამბავი რომ შეუტყჳა.

ნ ი ნ ო. (ბიჭზედ)

ეს ვინღა გახლავთ ბატონო, ანუ სადაურია?

ბ ი ჭ ი.

იმერელი გახლავარ ქუთაისიდგან მოსული.

ნ ი ნ ო. (რევაზს).

თუ გნებავთ მოისვენეთ ბრძანდებით თქჳნ დაღა-
ღული,

(რევაზ ადგება, ნინო და ბიჭი ჴელს მოჰკიდებენ და კიბეზედ სახლში შეიყვანენ)

ნ ი ნ ო. (კიბიდგან ჩამოდის მარტოკა)

ორივ თჳალებით დაბრმავდა უბედური და საწყალი,
რა რიგათ უწინ ბრწყინავდა როცა რომ იყო უმაწჳლი.
ოჰ! მაპატივე რევაზო, ჩემგნით ხარ შენ დაჩაგრული,
იქნება იმას ეგონოს რომ მე ვარ მოსვენებული?
ოჰ! ჭეშმარიტათ გავიცან რა არის ეს სიყჳარული,
რა ვიცოდი, რომ რევაზი ყოფილა კიდევ ცოცხალი?
ეხლა ვეცდები იმასა, რით მოურჩინო თჳალები,

მაგრამ ვინ არის პატრონი, ვისა აქჳს თჳალის წამლები,
ნეტავი ამას მოურჩეს მერმე დამარჩოს ცოცხალი
მაინც ხომ იმას შეიტყობს, მეც რომ ვარ იმისთჳს
მკჳდარი.

(ამ დროს შემოვა გოგო)

ნ ი ნ ო .

ხჱდამ? რომ ღმერთმა მოგვხედა, სად მოიყვანა რევაზი,
გახსოვს, რომ გულით მიყჳარდა, სწორეთ ეს არის კნიაზი,
აბა შენ ეხლა მიშველე და მოიყვანე დოკტური,
ექნება თჳალის წამალი, მორჩება ის უბედური.

გ ო გ ო .

წავალ მოვსძებნი აქიმსა, თუ მოვა ხომ დიახ კარგი.

ნ ი ნ ო .

ფულებს ვიშოვნი გავყიდი რაც მაბადია მე ბარგი.

(ორნივ გადიან)

გამოსვლა მეოთხე.

რევაზ და ბიჭი (წყნარათ ჩამოდიან კიბითგან)

რ ე ვ ა ზ .

რათ მომიყჳანე შენ აქა, ხომ ხედამ, უფრო ვხდები,
ქალის ჭიკჭიკი მაწუხებს აქედგან დავიკარგები,
იმის ხმა ნინოს მაგონებს იმიტომ გულით ვკჳდები,
გულის სინაზე მას უგავს ამ მიზეზებით ვსწუხდები.

(ამოიოხრებს)

სად არის ნამდვილი ნუცა, იმას როდის შევეყრები,
იცის, რომ ვკჳდები და ვხმები პირუტყვებს მე ვემსგავსები?
დასწყევლოს ღმერთმა კიკოცა და იმის ამხანაგები,
თქჳენ დამიკარგეთ ნინუცა, გაგვხადეთ უბედურები,

ბევრი ვიტანჯე მეუღოვა, სიცოცხლეს, მე გავეყრები,
შუბლში დავიცემ დამბაჩას და ჭირსაც მით მოვშორდები.

(დამბაჩას ამოიღებს)

ბ ი ჭ ი (დააყენებს)

კნიაზო რევაზ რას ბრძანებთ, თქჳჱნგნით ეგ რა სათქმელია?
ღმერთი კი ნუ გავიწყდებათ ის სულ ბოლო მოწყალება.

გამოსვლა მეხუთე

(ვოენის დოქტური, ნინო და გოგო მარჯჳნივ ტყიდგან შემოდიან)

ნ ი ნ ო . (დოქტურს)

ოჰ! ღმერთი გადღეგრძელებს სათხოვნელი თქჳჱნთანა მაქჳს.

დოქტური (დაბლა ხმით)

ერთი შეხედეთ ამ ქალს სწორეთ ანგელოზსა ჰგავს!

ნინო (რევაზზედ აჩჳჱნებს)

აჰ! ხომ ჰხედავთ ბატონო, რა ეშველება ამას?

დოქტური (შინჯავს)

აბა მიბძანეთ კნიაზო ეგ საქმე, როგორ მოგსვლიათ,
რა დამართვია თქჳჱნს თჳალებს, ან როგორ წაგიხდენიათ.

რ ე ვ ა ზ .

ვსწევდი ბატონო გზაზედა, პატარა ჩემსა ჩიბუხსა,
არ ვიცი რისთჳს დაუწყე შინჯჳა მე თოფის წამალსა;
ჩიბუხის ცეცხლი დაეცა მაშინვე მიელო ქაღალდსა,
ერთბაშათ წამალიც გასქდა და ეცა სულ ჩემს თჳალებსა.

დოქტური. (ნინოს)

მაშ შეიძლება სამის თვით კნიაზი მე წავიყჳანო?

დიდი სურვილით ვეცდები თჳალები მათ მოურჩინო.

ნ ი ნ ო.

ოღონდ კი ეს მოარჩინეთ თქჳნი ნებაა ბატონო.

რ ე ვ ა ზ.

ვინ არის ქალი, რომ ზრუნავს? ღმერთმა დაგლოცოთ დედანო.

(დოქტური, რევაზ და ბიჭი გადიან)

ნ ი ნ ო.

მანამდისინ არ მოარჩენს ვერა ვარ მოსვენებული,
მწუხარებისგან საშინლათ გული მაქჳს მე დაჩაგრული.

(ზევით ადის სახლში)

გ ო გ ო. (ცოტას ხანს შემდეგ)

ამათ ამბავი მაშტერებს რა რიგათ შეხვდნენ ერთმანერთს,
კეთილ საქმეზედ ღმერთიცა, სუყოველთჳს კაცს შეიბრალებს,
ეხლა დრო არის მე წავალ, დავგვი და დავსწმენდ ოთახებს.

(გოგო შემოიტანს სჩოტკსა და ჭგვის სცენას. და მერმე გავა).

გამოსვლა მეექჳსე.

ნ ი ნ ო. (კიბიდგან ჩამოდის)

ვარდი შეხვდა თავის ლომსა, მაგრამ უწუხს კიდევ გული,
რომ საყჳარელს არ ეგონოს ვარდი ჭყვანდეს წახდენილი,
გაამუქებს დამბაჩასა უჳახუხებს ნინოს სული:
ტანჯჳა მეყო საყჳარელო გმადლობ რევაზ, რომ მამკალი,
მე იმისგან არა მჯერა აღასრულოს ჩემგან თქმული,
ჩემზედ ეჭჳსა გადაუყრის, ადრინდელი სიყჳარული.

(გოგო შემოვა)

ნ ი ნ ო (გოგოს)

დღეს სამი თვე შესრულდა, როგორც რევაზ ჩ̂ჳენ მოგვშორდა

აქამდისინ მე მგონია დოქტური მას მოარჩენდა.

გამოსვლა მეშჳდე

(შემოდიან: დოქტური, რევაზი თ̂ჳალები ხელსახოცით აკრული და ბიჭი)

დოქტური (თავ მოწონებით საათს უყურებს)

ათი მინუტი აკლია, სრულებით ამათ მორჩენას.

ნ ი ნ ო . (შიშით აქეთ იქით მიიხედავს)

რა ეშველება ამ ჩემს თავს, უეცრათ რომ დამინახოს?

დოქტური (საათს დახედავს)

ხუთი მინუტი აკლია ჩ̂ჳენის ვადის შესრულებას.

ნინო (დაფანტული)

ოჰ! ოჰ! ქ̂ჳეყანავ მშვიდობით, ეხლავ დამარჩობს და მამკლავს!

დოქტური (საათს უყურებს)

ბიჭო ეხლა კი დრო არის თვალები აუხსენ კნიაზს.

(ბიჭი ხსნის თ̂ჳალებს და ნინო რევაზის მარჯ̂ჳნივ დაიჩოქებს)

რევაზ, (თ̂ჳალებს ახილებს)

მადლობა ღმერთსა ძლივს მოვრჩი ამ ჩემს უბედურებას,
ნეტავი ნუცა მაჩვენოთ მაშინვე ვიცნობ მე იმას.

(მარჯ̂ჳნივ მიიხედავს)

ვინ არის ეს დაჩოქილი? თქ̂ჳენი ჭირიმე ნონოს ჰგავს,
სწორეთ ის არის მიშველეთ ხომ არა ვხედავ ჩვენებას.

(ეხვევიან ერთმანერთს)

რევაზ (ცოტას ხანს შემდეგ)

ჩუენ დავამტკიცეთ ნინუცავ მით სიყუარული კაცის
რომ ერთმანეთი გვიყვარდა ვერიდეთ ორ პირობასა.

ნ ი ნ ო.

საყვარლისათჳს გარწმუნებთ არ მოვარიდებ სიკუდილსა.

რევაზ (ნინოს, მერმე დოქტურს)

დაგლოცოს ღმერთმა და ცამა შენი ვარ მე მადლობელი,
მადლობელი ვარ დოქტურო, რომ მამარჩინეთ საწყალი,
ოჰ! ჭეშმარიტათ ძნელია კაცის, ქალის სიყუარული,
თუ, რომ ერთმანეთს მოშორდნენ მათ ურჩევნიათ სიკუდილი

(ნინოს)

აქ მოდი ჩემთან ნინუცავ ვაკოცოთ ჩუენ ერთმანერთსა.

(ჰკოცნიან)

ნ ი ნ ო.

თითქმის ხელ ახლათ გავცოცხლდი, რომ ვკოცნი მე ჩემს რევაზსა,
ამდენი ტანჯვის შემდეგა რაღა იქნება ბოლოსა?

რ ე ვ ა ზ.

მოკლეთ ჩუენ ყველას აუხსნით, რომ კვირას დავი-წერთ ჯუარსა.

ნ ი ნ ო. (რევაზის ჴელი უჭირავს და მღერის)

საყუარელო! გადმომხედე სიამოვნებით,
დაივიწყე მწუხარება, წარსულ დროების;
ქუეყანაზედ კაცი იგებს გამოცდილებით,
ამის შემდეგ წუთ სოფელსა მოვერიდებით.

დავანებოთ წუთ სოფელსა, და ბოროტ ხალხსა,
არცარავინ შეაწუხებს ჩუენს ცხოვრებასა,
პატივსა ვცემ გულის ნუგეშს და საყუარელსა;

იმის გარდა ჩემი გული, არ ხედავს სხჳასა.
ერთათა ვიყჳნეთ სიკჳდილამდინ ის გვირჩევნია,
ჩემთჳს მარტო საყჳარელი სანატრელია,
უშენოთა გეტყჳ სულო, ოჰ! რა ძნელია;
შენთან ჯდომა და სიკჳდილი ჩემთჳს ლხინია.

**1863** წელსა **10** მაისსა.

თ. ვანო ბარათოვი.

---

# იმერული ნანინა.

## ვ უ ძ ღ ვ ნ ი

(საბატონო ყმების ახალ-მობილ-შჳლებს.)

გამურტულო გლეხის შჳლო, შენ ჰაწაწინაო!
ეგრე ტკბილად, უდარდელათ, რამ დაგაძინაო?
დედის მკერდში მიგიგნია შენ ტკბილი ბინაო...
დაიძინე ვარდო-ნანა, იავ-ნანინანო!..

დედა ეტყჳს: «გენაცვალოს შენი მშობელიო,
ძუძუებში ჩაგივლია ჰაწაწა ხელიო!
შენს ვაჟ-კაცობას მომასწრებს მე ღ̂ჳთის მშობელიო,
მამი შენის ბედის არ ხარ, შენ სხჳა ბედს ელიო:
შენი ვარსკვლავი სხჳა არის! — ბედმა გიცინაო!
იავ-ნანა, ვარდო ნანა იავ-ნანინაო..

ღმერთს შენი ბედნიერება წინეთ უსახავსო,
შენც მის ნაცვლად ემსახურე, ნურას იზამ ავსო,
დედას თმას ნუ მაწეწინებ, ნუ ჩამაცმევ შავსო!
სხვებ რა გიჭირს: ხომ შეიტყვე [illegible]!
რისთჳს შეჰკრთი? მართალია! რამ შეგაშინაო?
იავ-ნანა, ვარდო ნანა, იავ-ნანინაო..

გაიზრდები, გენაცვალე, თავის-უფალიო,
[illegible]

შენს მტერსა და მოშურესა დაუდგეს თვალიო,
ჭირისა და ავ-თვალისგან გიხსნის უფალიო,
ხომ გიამა, გენაცვალე, მან გაგაცინაო?
იავ-ნანა, ვარდო ნანა, იავ-ნანინაო.

დიდი კაცის შვილს შკოლაში გვერდს მოუჯდებიო,
აბა შენ იცი ბიჭოჯან როგორ ეცდებიო;
[illegible] სწავლაში ნუ ჩამორჩებიო,
გლეხ[illegible]ბიჭი არა აქჳსო, არ აფიქრდებიო!.
შენი დაჩაგრული ძმები შენ უნდა იხსნაო,
იავ-ნანა, ვარდო ნანა, იავ-ნანინაო.

[illegible]რიან ჩჳჱნი გამწვალეო
ჩჳჱნ სა[illegible] როცა მივალთ გვეტყვიან: «ხვალეო»
და ჩჳჱნ როცა დაგვსაქმებენ მაშინვი «მალეო!»
ამას შენ ველარ გეტყვიან, შენ გენაცვალეო,
რომ ველარ დაგიბრიყვებენ, თუ რომ თავი სცანო!
იავ-ნანა, ვარდო ნანა, იავ-ნანინაო.

პაწაწინა იადონო და ვარდის კონაო,
დღეს ხომ კარგათ გაიგონე ჩემი ნანინაო?
და თუ კარგათ გაიგონე, ხომ მოგეწონაო?
მაშ ნუ გძინავს!.. გაიღვიძე!.. იცან ქჳჱყანაო!
შენც შეიტყვე ამა სოფლის ცრუ-გამოცანაო!
იავ-ნანა, ვარდო ნანა, იავ-ნანინაო.

თ. აკ. წერეთელი.

## ჩემს მეგობარს.

მოყჳასო ჩემო შორიდგან მესმის
თუ მართალია განსაკჳრველად,
გამოეძიებ ვითომც ღჳთაების
საქმეთა ძალთა გულ-შერყეულად.
ჩემ შორის არსი მეგობრობისა
ვარსკვლავი წმიდა ცისკარი სულის,
შენ გსასოებდა მწადი ძმობისა,
ვითარცა მზესა, მკურნალსა ზრულის.
შენ გტრფიალებდა გული და გრძნობა
ღჳთისაგან რაც მაქჳს ნათელ-ფრქჳეული
სული და გონვა, ძალი და ცნობა
შენ გეპყრა მარად დამონებული.
ესე ვითარი, ესე ვითარსა
ყოველსა ეტყჳს იმედეულად,
ამისთჳს სულსა და მეგობარსა
განგიფენ აზრსა შემოკლებულად:
მდინარის წჳეთმან ვით ჰსცნას სივრცე ზღჳს,
ანუ თიხისა მცირე ჭურჭელმან
ვით შთაიტიოს სამკაული ცის
თჳალ შედგმა მზისა ვერ შემძლებელმან.
ვიცი და ვუწყი, ვგრძნობ და ვმეტყჳელებ
თუ მართლა ღმერთზედ შენ იჭჳნეულებ
და საქმეთ მისთა მიუწთომელთა
მიწთომილებას გამოეძიებ.
მცირე ნაწილი ნიჭი ნათლისა

რომელი მოგცა უზენაესმან
შრეტ, აღნობ, აქრობ მრუმეშიდ მლჳელი
ზღვსა ქჳშათა უფსკრულშიდ მთვლელი.
უკეთუ ცნობას არ დაამყარებ
ნათლისა სჳეტზედ ქუხილის ძისა
და ჰგონებ უბრძნესს იმართლ-მეტყჳელებ
და მკჳეცი სამღრთო არწივის ფრთისა,
მაშინ მშჳდობით ხედავო ცნობის,
რომლით ბრწყინვიდენ ძენი ნათლისა,
რომელთა სხჳა გონეს უგუნურებით
და იქმნენ შჳლნი უმეცრებისა —

კოლხიდელი.

---

## ჩემს მინერვას.

სიბრძნისა ღმერთავ! მე შენი სახე
ყჳელგან თან მზდევდა გულისა მახე;
მეოცნებოდა ვით ალვისა ხე;
ელჳად, მნათობად გულს დავისახე.
სატრფოო! ვარდი, ნამით დამტკბარი,
ვნახე შლილობდა, ამოდ მწყაზარი,
კრთოლვიდა მქრქალსა ცაზედ ცისკარი,
ვსთქჳ: არც ეს არის მინერვას დარი
ვრბოდი უდაბნოდ, — ტევრთა ბურვილთა,
დევნილი ალით ჩემთა სურვილთა,
ვისმენდი გლოვას ბულბულთ ურვილთა

და წყაროთ კჳნესას, ვსებად წყურვილთა.
წარმოვიდგენდი შენსა მზეობას:
მაღალს მაგალითს, ტურფას ზნეობას:
წმიდას სიყჳარულს, მის სიტკბოებას,
ასპარეზობას, ტრფობით მხნეობას.
შენი ტრფიალი მქმენ უძლეველად;
ჰკლდუცთ დაჩაგრულთ პატივის მცჳფლად,
სიბრძნის მსახურად, სიმართლის მთქმელად
და წმიდის მცნების თავ შემწირველად.
ვრბოდი საკჳდავად ბრძოლისა ველად;
გულსა შენ მქონდი და ჴრმალი ჴელად;
შენი ციალი მზეებრ, დამწჳფლად
წამს მომეელვის ცრემლთ დასაღვრელად.
მე შენი სიბრძნე მიყჳარს და მრწმენა,
ინებე ჩემზედ შუქის მოფენა,
ახალ ახალთა ნათელთა ჩენა,
ლხინის და ჭირის გულ გრილათ თმენა:
ტურფასა ვარდის საბაღნაროსა,
გულსა ეკალმან ვითლა მნაროსა;
ან რათ ვემსგავსო რხეულს საროსა,
ან ცრემლი რად ვრთო მჩქეფრსა წყაროსა.
მარამ აქაცა, მიდამოს არეს,
არ ვიცი, რისთჳს ვღჳრიდი ცრემლს მწარეს;
თჳთ ტოლებშიაც ლხინად მჯდომარეს
მზიდავდა მწჳფლი ფიქრი თჳს მხარეს. . .
ღმერთავ! . სად არად შენ მაქჳნდი მარად:
დილად სადა არად მნათობთა დარად

ელჳარებ ბარად, მთის გასაკმარად;
სურნელ სუმბულად, სატრფოდ საკმარად. . .
ბროლი ფიქალობ, (*) კეკლუცად ქალობ,
ბულბულებრ გალობ, წინწილათ ძალობ,
ძჳრფასად თვალობ, კრთოლავ, ციალობ,
სხივით მამთვრალობ, მწჳჱლობ მით ალობ. .
შენს ჯაჭვს ნუ ამხსნი; გრძნობით ნუ დამხსნი;
თუ კჳლავ მტერს დამხსნი; მახჳლს ნუ შამხსნი;
მჭევრთ-ქმანი წამხსნი; სიბრძნით ამიხსნი:
ჭაზრნი გამიხსნი, მით ბნელსა მამხსნი.

თ. დავით მაჩაბელი.

---

[redacted]

(ბოლო მოულდებელის კომედიითგან.)

ერთია კაცი ბუნებისათჳს,
მდიდარი, გლახა, დიდი, პატარა;
რა დღით ის წუთის ცხოვრებისათჳს,
ქვეყნად მოვიდა და დაემყარა.

---

(*) ქართულის ძჳჱლის ლექსების მეტაფორა იერა-გლიფსა ჰგავს გამოსაცნობლად: ბროლისფიქალი ჩჳჱნთ მელექსეთ უხმარიათ ისეთ ნათელს თეთრს შუბლის ფიცრად, რომელშიაც გონება გამოსჭჳრს, როგორც ბროლში.
რ.

მათზედ განაგებს ერთ გვარ ბუნება,
ერთ გვარად უსვამს იგი მათ ცელსა;
და ისე სული დიდ კაცსაც ჰხდება,
როგორც მის მსახურს უკანასკნელსა!..

მოლაყბე. (*)

აპრილის 28
ქაჯეთის ქვეყანაში, სოფელს ჯანდამს.

(*) დიდის კმაყოფილებით ჰბეჭდავდა რედაქცია მოლაყბის ბოლოს მოუღებელს კომედიას, სიქსტი მეხუთის მეორე მოქმედებას, რომელიცა მივიღეთ, მაგრამ ველარ იბეჭდება, ამ დაუბეჭდაობის მიზეზი რედაქცია არ არის...

რედ.

# ცისკარი.

**1864**

მარტი.

## წელიწადი მერვე.

წოდება თხზულებათა:


**I**— მოძღვრება ხარების დღესა.—გაბრიელ ეპისკოპოზისა.

**II**—რევაზ და ნინო.—თ. გ. ბარათა-შვილისა.

**III**—ლექსები: **1**, იმერული ნანინა.—თ. აკ. წერეთლისა. **2**, მეგობარს,—კოლხიდელისა **3**, ჩემს მინერვას,—თ. დავ. მაჩაბლისა. **4**, ერთის კაცი ბუნებისათჳს, (ბოლო მოუღებელის კომედიით გან.) მოლაყბისა **5** ლომი, ფინია და კირი —დ. ბერიევისა.

**IV**—ქართველთა ზნეობა: საზოგადოდ გალობა; როდის გაჩნდა ქართული გალობა —თ. დავ. მაჩაბლისა.

**V**—სიტყუა, თქმული ქართულის გალობისათჳს, წმ. ნინოს მონასტერში. მღუდლის ფილიმონ კარბელოვისა.—პასუხი. იოსებ ბერიევისა

**VI**—კიცხის მაჭავარიანთ წარმომდინარეობა —თ. მაჭავარიანისა. რედაქციისაგან. სხუა და სხუა ამბავი. (იხილე მეორე გვერდზედ)


---


ტფილისი.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.



საქართველოს სახელმწიფო ... თბილისი

# ცისკარი.

ქართული სალიტერატურო ჟურნალი.

გამოიცემა ივ. კერესელიძისა-გან.

მაისი.

წელიწადი მერვე.

«თუ შეიყვარო სმენად,—მიითვალე და უკეთუ მიუპყრა ყური შენი,—ბრძენ იქმნე» (წიგ. ისო. ზირ. თავი **6** მუხ. **34**.)

---

ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

**1864**

Дозволено цензурою. 1864 г. 14. Апреля.

# ლომი, ფინია და ვირი.

ოდესმე ლომის კარზედა, საწყალი ფინა ერთგული,
იყო სიმწარით მოცული და დიდათ დაფიქრებული,
ერთგულობასა იწვრთნიდა, ჰსცურავდა ამა ფიქრშია—
ითმენდა უბედობასა და იყო ამ-გვარ ჭირშია!
ლომი კარზე გამოვიდა რა შეჰხედა ფინიასა,
უთხრა: ჩემო ფინიაო, შენი ფიქრი რასა ჰგავსა?
ოდესაც ჩემთან მოსულხარ, რათ მოიწყენ ნეტა თავსა,
კარგათ იცი, მწუხარება თავს მოგახვევს ბედსა შავსა,
—მართალია ჴელმწიფეო; მარამ ბრალი არის შენი,
ჩემისა უბედობისა ნება იყო ვჰგონებ შენი;
შენ მიბრძანე დავმორჩილდი, უგრძნობელსა ამა ვირსა,
რომლისაგან ბედი ჩემი თჳთ შენ ჰხედავ ვითა სტირსა!
კარგათ იცი ჴელმწიფეო, მე თავი მაქჳს განწირული,
შენისა ერთგულებისთჳს სიკჳდილადმდე შეწირული,
მარამ აწ ღონე მელია, ვეღარ უძლებ ამდენს ჭირსა,
რომ კჳალად დავემორჩილო, უგრძნობელსა ამა ვირსა!
იცი მე მის ჩჳეული ვარ, ვემორჩილო ბრძანებასა,
ვისთანაცკი მიმაჩემო, ვემონო მისსა ნებასა;
მარამ, რათგანაც ვერა ჰგრძნობს ეს ჩემსა ერთგულე-
ბასა,
გენუკვი თავისუფალ მყო და მიმცე მტირედს შვებასა!
ჴელმწიფეო მამისმინე, ცოტა იყო პირუტყვები?
რაღა ამას მიმაჩემე, ამას ვსტირი, ამას ვჰკჳდები,

იცი ჩემი ერთგულება მაქჳნდა შენთან შეჩჳეული
ყოველს კეთილს. განცხრომასა მარად ვიყავ დაჩვეუ-
ლი!

—განა არ ვიცი ფინიავ, განა არ გიცნობ ერთგუ-
ლსა,
განა არ მახსოვსა ყოველი, განა არ გიცნობ შენს სულსა,
ეს ქვეყანა ისეთია, ყველა უნდა გამოსცადო,
ყველა უნდა მოითმინო, ბედის-წერას დაუცადო . . . .

ვირი დგას თავ-დაღრომილი და ყურებ ჩამოშვებული,
ფინიასა საჩივარსა, უყურებს გაოცებული.
რა შეგცოდე ფინიაო, აბა მითხარ რას მიჩივი
რათ აწუხებ პირუტყვთ მეფეს უსაფუძვლოთ რას შას-
ჩივი?

გარგათ იცი არას მკითხვენ, მახვევიან ვინცა გარსა,
დათვი, ტურა, მაჩვი, მელა, რომელნიცა დგანან გარსა,
მე რომ ვიტყჳ ეს ასეა, პასუხს მცემენ უეცარსა,
ვჰგონებ ჩემებრ შეწუხება, არ ჰსმენოდეს ჩემსა გვარსა!

აქ ლომი მიუბრუნდება, ასე ეტყჳს დიდ-ყურასა,
თუ არა შაგძლებიარა, რას აკეთებ, აბა რასა?
შენ მოგეცი უფროსობა რათ უგონებ მითხარ, სხჳასა,
თავსა ვითა გაიმართლებ, როგორ ილებ ჩემ წინ ხმასა?

ბატონო! დათვი ჩემზე ძლიერია, ერთის დაკვრით
წელს მამწყვეტავს,
მელა მომელაქუცება, რაც რომ უნდა გამიბედავს,
ტურა მეტათ თავხედია, სრულებით არას მიგონებს,
მაჩვი ვიცი არ დამინდობს, ტყუილს რასმე მამიგონებს!

რა ვქნა ჩემო ჴემწიფეო! აქ რა არის ჩემი ბრალი.

გთხოვ რიგიანათ განსაჯო, ისე მამცე სამართალი,
იმედი მაქჳს ამ საქმეში, გამოვიდე მე მართალი
და თუ ვსტყუვი შენს წინაშე გენებოს ახლავ მამკალი!
აი ბატონო უყურე! აბა რა ჰსთქჳა, მოისმინე?
მიკჳრს რომე ეგე ყველა დიდსულობით მოითმინე;
ერთგული, პატიოსანი ყველთჳს ჩემებრ იტანჯება
და რაც უნდა მართალია, არვისა აქჳს შებრალება!
—ფინიავ შენ რომ იცოდე ყურდიდას ბაიათები,
ამისი ცეკვა, თამაში, ამისი იხტილათები,
მაშინ იტყოდი ღირსია, ედგას ზურგზე უნაგირი,
ბედაურს ემსგავსებოდა, ვინ იტყოდა არის ვირი? . . . .

დიმ. ბერიევი.

1863 წელსა.
ქ. ტფილისი.

# ქართჳელთა ზნეობა.

## 1.

## გ ა ლ ო ბ ა. (*)

საზოგადოდ გალობა.—როდის გაჩნდა გალობა.—ძჳელად რომელი ერი განსხჳავდა გალობითა—უმეტეს როდის მიიღო გალობამ თჳსი ხასიათი,—ორი უმთავრესი გალობა.—საიდგან შესდგა ქართული გალობა.—ხმანი ქართულთა საეროთა სიმღერათა.—ძალნი ქართულის გალობისა—როგორ იგალობება ქართული გალობა.—როდის არის მოგონილი—

საზოგადოდ გალობა არის სასიამოვნო ხმა კაცისა, გამომხატველი ღჳთის დიდებისა, მიმოხრილი სხჳა და სხჳას კანონიერს კილოდ და შეწყობილი რაოდენთამე მსგავს-

(*) რადგან გალობა არს წმიდა საგანი; ამისთჳს პირველად ეს ზნეობა დავსთხზეთ უკეთუ პირჳელი მაეგობა ესე ჩჳენი მოეწონებათ წარმკითხველთა, მაშინ ჩჳენ გაუგზავნით უფალს რედაკტორს სხჳათაც, ჩჳენთა თხზულებათა ქართჳელთა ზნეობაზედ, და იმედი გუაქჳნ რომ მსწავლულნი წარმკითხველნი მოიცლიან გასინჯონ

თავე ხმათა თანა, რომელთაგან წარმოსდგების ღარმონია, განმანათლებელი გულისა და გონებისა და კაცისა ჭაზრით ღჳ̂თისადმი აღმამაღლებელი.

ქჳ̂ყანაზედ გაჩნდა გალობა მაშინ, ოდეს ბუნებამან აღსძრა კაცი, რათა ჟამსა მომეტებულის სიხარულისა, ანუ მწუხარებისა, სასიხარულოს, ანუ სამწუხაროს ხმით ტურფად გამოეხატნა დიდება ღჳ̂თისა, დამბადებელისა და მზრდელისა მისისა; და ოდეს აღმოსჩნდნენ ქჳ̂ყანაზედ კაცთა საზოგადოობანი, მაშინ, აღმსთობაცა ესე კაცისა ცად მიმართ, სხჳ̂ათა კაცის სისრულესთან, კაცის მოგონებითა და მეცადინეობითა მოვიდა ხარისხეულად სისრულეში და წარმოსდგა ღარმონია განმათავისუფლებელი და დამატკბობელი გულისა და გონებისა.

ყოველთა უძჳ̂ლესთა ერთა შორის საღმრთოს გალობითა განსხჳ̂ავდნენ ებრაელნი, ერი რჩეული ღჳ̂თისა.— ათასის წლის წინადვე ქრისტედმდე, წმიდანი, გასაოცარნი საგალობელნი ღჳ̂თივ გაბრძნობილისა, დიდისა ებრაელთა წინასწარმეტყველისა და მეფისა დავითისაგან შეთხზულნი და შეწყობილნი ას სამოცს ფსალმუნებად, დღესასწაულობით იგალობებოდნენ ყოველსავე ებრაელთა სამეფოში; უმეტეს დიდ მშჳ̂ნიერსა ტაძარსა ღჳ̂თისა საბაოთისა, აღგებულსა მაშინვე შემდგომ მცირედისა დროისა დავითის ძის ებრაელთავე მეფის სოლომონის

---

თხზულება ჩჳ̂ნი და კრიტიკულად გაარჩიონ რაც უფრო მკაცრი კრიტიკული შენიშჳ̂ნა იქნება, ის უმეტესი სასიამოვნო და გასამხნევებელი იქნება ჩემთჳს. თ. დ. მ.

მიერ, ბრძნად წოდებულისა, ებრაელთა მრავალ რიცხვ-
თა მგალობელთაგან გრგვინვიდნენ ცად მიმართ ფსალ-
მუნი შეწყობითა წინწილთა, ებანთა და სხვათა სახიო-
ბათა ზედა.—«აქებდით მას ხმითა ნესტჳსათა, აქებდით
«მას ფსალმუნებითა და ებნითა, აქებდით მას ბობღნითა
«და მწყობრითა, აქებდით მას ძნობითა და ორღანოჲთა,
«აქებდით მას წინწილითა კეთილ ხმითა, აქებდით მას
«წინწილითა ღაღადებისათა (*) (ფსალ. რნ. მუხლი გ. დ. ე)

გალობამან უმეტეს ნამდჳლი თჳსი ხასიათი მიიღო შემდგომ ქრისტესა; თითქმის ყოველთა წარმამადგენელთა წმიდის ცხოვრებისა მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი და მოწაფეთა მისთა, რომელნიცა ხშირად წარს-

---

(*) ასე ცხადი და გასაგონარი ჩვენთჳსაც ენა არს მერვე საუკუნეში მეოფთა მთარგმნელთა. ამ გვარის ენის სიცხადეს და თორმეტსა საუკუნოჲსა განმავლობაში დაუმველებლობას ისტორიულს განმჭვრეტელობაში, მრავალ რიგი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიის მწერალთათჳს ქართველთ თავისუფლებამ დაიცვა ეს ენა, ენის თჳსებამ, თუ განუვითარებლობამ? უკანასკნელი მიზეზი არაფრით არ დამტკიცდება, რადგან ქართული ლიტერატურა ისე მეათე საუკუნეში იდგა მაღალს ხარისხზედ განვითარებისა.—ამ სამუსიკო ხმათა აქვსთ რუსულათ შემდგომნი მნიშვნელობანი: ნესტჳ **Труба**; ებანი **Гусли**; ბობღანი **Тимпань**; ორღანი **Органъ**; წინწილი **Кимволъ**; ეს საკრავნი ერთად შეწყობილნი არს ძნობა **Струни**; როგორც ძალნი ერთად შეწყობილნი.

თქმიდნენ გალობასა და განსცხრებოდნენ ზეციერი სიხარულითა, იწყეს მაღალად განვითარებულის გალობი შემკობა წმიდათა ქრისტეს ეკკლესიათა.

ყოველს საქართველოში ორი უმთავრესი გალობა არის სათავე სხუათა ყოველთა გალობათა: ბერძული და იტალიანური. პირველი არის მხოლოდ ერთი ხმა, მთქმელი, მრავალს ერთს ხმად შეწყობილს ბანში, გამომხატველი საღმრთოთა საგალობელთა, მოყვანილი საკმაოს სისრულეში, გალობა ესე ემსგავსების დაბალსა ქუხილსა, რომელშიაც ელვერ გამოკრთის მშვენიერად მიმოგრაგნილი განონიერს კილოზედ ხმა ერთისა მთქმელისა, ანათლებს გულსა და გონებასა (ბერძულს გალობას ემსგავსების სომხური გალობა) (*) ხოლო მეორე, ესე იგი იტალიანური, არს შეწყობილი მრავალთა ხმათაგან ერთს ღარმონიად, მქონი ფრიად სასიამოვნოჲსა მოქმედებისა კაცობრივთა ზედა. იგი ჰპოვეს ევროპიელთა უნამდვილესს ღარმონიად და მიიღეს ყოველთა სამეფოსათა, როგორც საეკლესიოს საგალობელად, ისე საეროსა და სამხედროსა სახიობად; (მუზიკად); მოიყვანეს უმაღლეს ხარისხამდე სისრულეში ესოდენ, რომელ ლონდონის საქათალიკოხოს, ანუ მათსა სამეფოს

(*) სომეხთა (ჰაოსიანთა), საქართველოში მცხოვრებთა, დიდათ ასახელოვნეს თავეთი თჳკის საკუთარის სემინარიის დაწესებათა, სადაც გარდმოიცემიან ყოველნივე ჰსწავლითნი საგანნი სომხურს ენაზედ და გალობაც სომხური სისრულეში მოჰყავთ

ეკკლესიაში, გნებათ კჳრას სახარების ტექსტთა ჰგალობს ვიდრე ათასი ხმა, (*) შეწყობილი სახიობაზედ ერთს დიდ შჳენიერს ღარმონიად; მსგავსადჳე—შჳენიერად ჰგალობენ ფრანცუზნიცა წმიდათა მათთა ეკკლესიათა; და უმეტეს რომს უწმინდესის პაპის საქათალიკოზოს ეკკლესიაში, საიდგანაც განვრცელდა გალობა ესე მთელს ევროპაში, ვიდრე თჳთ რუსეთისა საკეისროსაცა; თუმცა რუსეთმა მიიღო სარწმუნოება საბერძნეთით და აწ აღმოსავლეთის წმიდა სარწმუნოება უფლებს მუნ.

ქართული გალობა არის საშუალი (*) (*) ბერძნულისა და იტალიანურის გალობათა; რაოდენმე საგონებელია, რომელ ქართჳელთა, პირველსავე ქრისტიანობაში, შემამღებთა კონსტანტინოპოლით, ერთად, ქრისტიანობისათჳს სარწმუნოებასთან, გალობისაცა. განუვითარებიათ იგი თავეთს საკუთარს გემოზედ, შეჰქმნიათ ჩჳეულებად და გარდაქცევიათ ერთს უმთავრესს ზნეობად; შეიძლება ვსთქჳათცა, რომლისა არის საკუთარი ქართული გალობა მოყჳანილი დიდსა სისრულეში.—ჟამსა ქრისტიანობის უჳავილოვნებისას, საქართჳელოში, რაოდენნიმე ათასნი ღჳთივ-განბრძნობილნი მამანი შეკრებილნი და შემონო-

(*) მკითხჳელთა დაუჯერებლად ეჩჳენებათ ათასი ხმა ერთად მუსიკაზედ შეწყობილი და მეც თჳთონ ვიჭვნეულებ; მარამ ეს მოვიღე კარამზინიდგან. ნახეთ იმისგან ლონდონის აღწერაში.

(*) (*) რომელნიმე სწერენ საშუალის მაგივრად საშუვალი, ეს უცოდინარობით მოსდით: შუა და არა შვა.

ხოლო უკეთუ იქნების სრული ხორა (გუნდი) სრული რიცხჳ მგალობელთა; მაშინ თავით თჳსით იგულისხმების, რომელ გალობა იქმნების უმეტეს სასიამოვნო.

ქართული გალობა იგალობების ესრეთ: თქმა იწყებს; მაღალი ბანი მისძახს; ბანი უბანებს და აკავშირებს თქმას მოძახილთან; დვრინი გრგვინავს და ახჳწკს ერთად სამ-თავე; ზილი თქმას და მაღალ ბანს შუა საშუალს წმიდას ხმად მისდევს ადგილ ადგილ მთქმელს; ხოლო კრიმი ხმას აწევ-დაწევისა, გაგდების და განკიდურების დროს ძალიან წმიდას ხმას შეეწმახჳნის მთელს გალობას ხანსა და ხან-ზედ იქ, სადაცა აქჳს ადგილი მას შეწმახჳნისა, ხმანი და-წყებიდგან გათავებამდე გალობასა, გაიტანენ თჳსს თჳსსა მალსა და, უკეთუ რომელიმე გამოიცჳლება, მაშინ თანხმობა აირევა და გალობა წახდება; ამისთჳს ქართუ-ლის გალობის ნოტი არ ემსგავსება იტალიანურს გალო-ბის ნოტსა.

თჳთ გალობა არის შეწყობილი ცხრათა ხმათაგან, ანუ კილოთგან და აგრეთჳე ჭრელებთაგან; ესე იგი: ამ ცხრას ხმათაგან გამოკრებულს სხჳა და სხჳა კილოებით წარსა-თქმელთა საგალობელთაგან, ყოველნი საგალობელნი მა-რთლმადიდებელისა აღმოსავლეთის ეკკლესიისანი არიან შეწყობილნი ცხრათა ამათ ხმათა და ჭრელებთა ზედა და ყოველნივე იგინი წარითქმიან მათზედა გალობითა —

ქართულის გალობის შედგენილებით სჩანს, რომ ის არის შეწყობილი ნოტზედ; მარამ აღარც ნოტი სჩანს (*)

(*) თუ კიდევ იპოვება სადმე ძჳელი ქართულის გა-

და სახელდობრ ვისგან, ან როდის არის შედგენილი ჯერ სწორეთ არ ვიცით მარამ საგონებელი არის, რომ ქართული გალობა უნდა იყოს მოგონილი პირჳელსავე ქრისტიანობაში და მოსული სისრულეში მერჳეს საუკუნეში. რომელნიმე ჩჳენნი ავქსონნი მიუწერენ ქართულის გალობის მოგონებას მეუდაბნოეს საბა სინკელს, რომელიც სცხოვრებდა **1030** წელსა; ხოლო რომელნიმე იოანე ტარიჭისძეს, რომელიცა—**1089** წელსა, შემდგომ არსენი იყალთიელისა, დამაფუძნებელისა საქართჳელოში სასწავლებელთა, რომელიცა იქმნა დადგენილი მოძღჳრად მათ სასწავლებელთა.

---

ახლად შეთხზული ნოტი ქართულის გალობისა.— დღეს აღარ იციან ამერთა ქართული გალობა.— ჩემს დროს კიდევ სწავლობდნენ ქართჳელნი გალობასა —იმერეთში დღესაც იპოვება ქართული გალობა.— მეჩანგეთა სიმღერა —სარგებლობა გალობისა.

გჳრწმის ვიეთთაგანმე, რომელ სასულიეროს მთავრობის მზრუნჳელობით აწ ახლად შეუთხუზავთ ჴსწავლულთა მგალობელთა ნოტი ქართულისა გალობისა, და ჩჳენდა სანუგეშებლად, მთავრობის მოწყალებით უნდა მოველოდეთ, რომელ მსგავსად ჩჳენთა სხჳათა დიდთა განვითარებათა, განვითარდების გალობაცა ჩჳენი. თჳთ რუ-

ლობის ნოტი, ცოდვაა იმისი გამოუჩენელობა, რომ სრულებით არ დაიკარგოს.—

სჳთისათჳსაც იქმნების პატივი და დიდება განდევიძება ქსრეთის მაღალის ზნეობისა თჳსთა მათ ქუეშევრდომთა შორის, რომელნიცა ჴსცხოვრებენ მიერუებულსა, მივარდნილსა, სამუსა მძკნვარეთა ბარბაროზთა, ალაგსა და უმეტეს იექუსმეტსა საუკუნოებსა სიწმიდით იმარხუენ მართლ-მადიდებლობითსა წმიდასა რჯულისა და საკუთარსა თჳსსა მაღალსა ზნეობასა — ქართული გალობა, აღდგინებული რუსთა მიერ, იქნების საკუთარი რუსეთის გალობა.

ჲღეს მთელს საქართუელოში აღარსად არიან მგალობელნი ქართულს გალობისა ზედმიწევნით მცოდნენი, ესოდენ, რომელ ოდეს გალობენ წირვის წესსა; მრწამსსა და მამაო ჩუენოს ვერ მოახერხებენ, რომ გალობით თავიანთს გილოზედ წარსთქუნ; თუმცა მთელი წირვა და ყოველივე ქრისტიანეობრივი ლოცუა მათზედ არიან დაფუძნებულნი და თუმცა იგინი არიან დიახ მშუენიერნი საგალობელნი.

ამასთანავე ჩუენდა სამწუხაროდ უნდა ვსთქუათ, რომ ამერნი შექნილან გალობისა ესოდენ უმეცარნი, როგორც გვესმის ვიეოთაგანმე, რომ ვითომც იბოებოდნენ მათ შორის თჳთ მღუდელნიცა, რომელთაცა არამცთუ იცოდნენ გალობა; არამედ ოდეს მისდევენ მიცუალებულსა დასაფლავლად, ვერ მოახერხებდნენ თჳთ წმიდაო ღმერთოს გალობით წართქმასა!.. წარმოდგენაცა ამისი, რომ მღუდელმა წმიდაო ღმერთო გალობითა ვერა სთქუას, შეუძლწუნებელია, და მეტადრე თუ რუსული გალობაც არ იცის! მაინც არცა ერთმა ქართუელმა არ უნდა დაი-

ვიწყოს საღმრთო და სამოქალაქო მოვალეობა თჳსი, უმეტეს სამღჳდელომან, რადგან ის არის მაგალითი გჳ-თილის მოქალაქობისა.

თჳთ მე მახსოვს ძჳელნი ჩინებულნი მგალობელნი. როგორც სამღჳდელონი ისე ერისაგანნი; მახსოვს, რომ ყოველს მარიებელს თავადთა და აზნაურთ სასახლეებში მგა-ლობელნი ჰყჳანდათ შჳლთათჳს გალობის მასწავლებლად; მახსოვს სხჳანიც მრავალნი შჳენიერნი ზნეობანი ქართ-ჳელთანი. . . დავივიწყეს ქართჳელთა ყოველივე და ჩემის მიხედულობითვე დავიწყება სხჳათა კეთილთა ზნეობათა, იქ-ნება მოგჳტეოს, მარამ დავიწყება ღჳთის დიდების, ნიშნავს სრულიად დაფუტუროებასა გულისა და გონებისა, . . კაცი მაშინ არის მთელი და ძლიერი, ოდეს ღჳთის სახელით დადის ვიწროსა ამაოსა ამას საწუთროსა თჳნიერ ღჳ-თისა არ არის კეთილდღეობითი ცხოვრება და დავიწყება ჴმისა მის, რომლითაცა მამანი ჩჳენნი ადიდებდნენ ღმერ-თსა; დავიწყება ჴმისა მის, რომელიცა იყო უმთავრესი მი-ზეზი მათის ქრისტიანობის ნათელში მყოფობისა, არს მოკლება იმ საღმრთოს ნათლისა და ბნელში სიარული; ეწინააღმდეგების საღმრთოს სახიერებასა და კაცობრივსა კეთილ გონიერებას. «უფალი ნათელი ჩემდა და მაცხო-ვარ ჩემდა, ვისა მეშინოდეს» ფსალ. კვ. მუხლი, ა.

კჳალად მაინც, მოგზაური საქართჳელოში: შავის ზღჳს პირებზედ, ძჳელსა ეგრისსა, ანუ კოლხიდას, იმე-რეთსა და უმეტეს გურიაში ჰპოებს მგალობელთა, მცო-დნეთა შეძლებისამებრ; არა თუ ოდენ წმიდათა ტაძართა ღჳთისათა, ანუ თავადთა და აზნაურთა სახლებში; არა-

მეჲ ჩირგვებშიაც, დაბურვილთა ტყეებში, ბილიკთა,
ველთა ზედა, მწყემსთა, აღმსთობილთა ცად მიმართ,
მგალობელთა საბაოთსა ღვთის დიდებისა. (*)

ჴშირად იმერეთის თავადთა და აზნაურთა, თჳთ ქალთაც სირცხვილად მიაჩნიათ სრულებით უმეცრება გალობისა. მრავალნი მათგანნი მიწყივ გალობენ ეკკლესიაებში წირვისა და ლოცვის დროს; სახლებში სალხინოდ ხმისაებრ წმიდისა მოციქულისა: «მოლხინე ვინ იყავნ გალობდინ» აგრეთვე გარეთ ცის ქუეშ, დროს გასართობლად და გლეხნიცა მსმენელნი მათნი ჰსწავლობენ და შექმნი ა ერსა მას გალობა საზოგადოს ჩუეულებად ესრეთ, რომელ გლეხთა შვილნი ოდეს მწყემსიან საქონელთა იმ უდაბურთა ადგილთა, სადაცა ყოველსავე მდებარეობასა და თჳთ მფრინველთა ხმოვანებასაც ჰსმევთ ველური სახე პირველ მდგომარეობისა, ჰგალობენ სასიამოვნოს ხმაზე საღმრთოთა ჰიმნთა: « განმანათლებელი ჩუენი ქრისტე!! . «დღეს საღმრთომან მადლმან ყოვლად წმიდის სულისამან «შეგვკრიბნა ჩუენ, ყოველთა გვიპყრეს ჯუარი შენი და ვიტყვით!! » და უფრო ხშირად მათი საგალობელი არს: «შეგვიწყალე ჩუენ, რომელნი ესრედ შეგცოდეთ ფრიად «ყოველთა ჟამთა და მოგვეც ჩუენ პირველ სიკეთილისა, «ჵ ღმერთო ჩუენო, ჟამი სინანულისა »

საუბედუროდ ამერთა მაღალი საქებარი ზნეობა ესე

---

(*) მე ვიყავ ამ ადგილებში **1836** წელში და არვიცი ახლა იქაც გამოუცვლიათ ზნეობა და დაივიწყეს გალობა, თუ ისევ იმ წესზედ სცხოვრობენ

შიჭფვარვიათ მრავალ გუართა მიზეზთაგამო და უფრო პო-
ლიტიკიურთა ცვლილებათა გამო; მათ შემოუღიათ ძუელი
იგი მგოსნობა, აღმძრუელი ვნებათა და აწ ნაცულად წმი-
დათა საგალობელთა იმღერიან მას ამერთა შორის არა
თუ ოდენ საზანდარნი ერის შემაქცევარნი; არამედ თჳთ
ერთობ თავადნი და აზნაურნიცა; ხოლო გალობა სრულ-
ებით დავიწყებიათ და აღარ დაჟმებენ.—

ცოდნა მეჩანგეთა სიმღერისა არ არის სრულიად უსა-
რგებლო, როგორც სიმღერა სამიჯნუროთა ლექსთა, მსო-
ფლიურს ამაოს შესაქცევრად; მსუბუქნი მოკლენი ლე-
ქსნი ამ საგნებზედ დათხზულნი შეეწევიან ლიტერატურას;
მარამ მით უმეტეს გალობა ორსავეს შემთხვევაში არის
საგანი ფრიად მაღალი, სასარგებლო და არა არს დასა-
ვიწყარი

დიდათ სცდებიან იგინი, რომელნიცა ჰგონებენ, რომელ
გალობა იყოს უხმარი და უსარგებლო და უმეტესად
იგინი, რომელთაცა გალობა სათაკილოდ მიაჩნიათ. (*)

კაცის ხმა გამომხატველი ღუთის დიდებისა არ არის
ლიტონი ბგერა. კაცი ქმნულება ღუთისა, ოდეს შიშსა
და სიყუარულისათჳს შემოქმედისა თჳსისა, ხშირად აღი-
მსთობს ტურფითა ხმითა მისდამი. რომელმანცა შეჰქმნა
იგი, ესე ცხადი ჭეშმარიტება არს, რომელ ღმერთი ის-

(*) კაცის გალობის უკადრისობა და მგოსანთა სიმღე-
რის ჰანგებით მოქადულობა ემსგავსების, რომ ის ეკკლე-
სიაში სამთლის ანთებას თაკილობდეს და შუშხუნების შე-
მზადება და აშუშბაკი ესახელებოდეს.

შენს მას და მიიღებს სასიამოვნოს მსხუერპლად.—რაოდენ ბედნიერი კაცი ჰაზრით ამაღლებული ღუთისადმი; იგი მწუხარებაში ნუგეშისცემულია, ხოლო მხიარულებაში სულიერად განსცხრების მიმაღლადმდე. (*) ღმერთისა ესმის ხმა ჩუენი; ჰხედავს ჩუენს მოქმედებასა და არა დაეფარების თჳთ გულის თქმაცა ჩუენი.—«რომელმან და«ნერგა ყური, არა, ნუ ესმისა? ანუ რომელმან შექმნა «თუალი, არა, ნუ ჰხედავსა? რომელი ჰსწავლის თესლებ«სა, არა, ნუ ამხილოსა? რომელმან ასწავოს კაცთა მეც«ნიერება» ფსალ. ჟგ. მუხლ. ზ. და ტ.

ამისგამო გალობა მიუცილებელად სახმარი და სასარგებლოა ყოველთათჳს; ყოვლისა ჰასაკისა და სქესისათჳს; მდიდართა და ღარიბთათჳს; ჰსწავლულთა და უსწავლელთათჳს.

ყრმანი გალობით შეეჩუევიან ღუთის დიდებასა და მის მიერ განვითარებულნი მოიპოვებენ სიმშჳდესა და მოთმინებასა, რომელთა მიერ შეჭურვილნი გამოვლენ სრბად წინამდებარესა მათსა სარბიელსა.

ჭაბუკნი გალობით დაივსებენ სახმილსა მათში მგზნებარეთა ვნებათასა; ფერხნი მათნი წარემართებიან გზასა ჭეშმარიტსა და მარჯუენე მათი არა შემწიკლოვანდების ცოდვითა; არამედ დაშურების კეთილთა საქმეთა ზედა. გამოიღებს უკუდავსა ნაყოფსა.

---

(*) ლექსი: მიმაღლადმდე ნიშნავს რუსულს **До превысиренныхъ.** აქ მოვიღე თავის ადგილსვე როგორც არ დასავიწყარი და ხმარებაში შემოსატანი ლექსი.

ჭარმაგნი გალობით, ჰხმეველნი სახელისა ღჳთისა შემწედ თჳსად, განმხნევდებიან და განმძლიერებულნი ბედნიერად განვლიან სარბიელსა

მოხუცებულნი ნუგეშინცემულ იქმნებიან, სასიამოვნოს ხმით მგალობელსი ღჳთის დიდებისა; ჭაზრთა თჳსთა აღავლენენ სახიერს ღჳთისადმი; გალობით დასტკბებიან სიცოცხლის საღამოსსა თჳსსა და ღმერთსა შეავედრებს სულთა თჳსთა გალობით მადიდებელნი.

ქალნი გალობით მღაღადებელნი ღჳთისადმი, არა განიშორვებენ ხსოვნიდგან ქალწულებრივსა კეთილ კრძალულებასა და მოთმინებით მიბაძვასა წმიდათა ღჳაწლ შემოსილთა დედათასა; ერთგულ იქმნებიან ქმართა და სახლთა თჳსთა და კეთილად აღზრდიან შჳლთა.

მდიდარნი ტურფისა საღმრთოჲსა გალობითა ჟამად მაინც განთავისუფლდებიან ამაოების რკინის უღლისაგან, საღმრთოს ნათელში გაართობენ სასიამოვნოთა ჭაზრთა. უმანკო მხიარულება ესე განუბნევს მათ ალმურსა, მტანჯჳელსა მათსა და განუნათლებელს გონებასა, ამაოთა ანგარიშთა გამო ბნელის ფიქრებით მოცულსა. იგინი გალობით შექცევიან რა თჳსთა კეთილთა მოყუასთათანა, გემრიელად სმენ და სჭამენ ღჳთისაგან დიდის უხჳებით მიცემულსა არსობის პურსა, კარგათ მოინელებენ და ძილით განისვენებენ.

ღარიბნი, გალობით მადლობის შეწირჳელნი სახიერისა ღჳთისადმი, უკილავად მზრდელისა და განმაძლიერებელისა მათისა, სიღარიბის ცრემლთა მოიცჳენ ზეციერის ცხოვრების ნუგეშითა და თჳთ გლახაკსაცა არა-

სობის პურსა ტკბილად სჭამენ, გალობით განმცხრომნი და ღუთის დიდებაში ტკბილად მიიძინებენ, მომლოდნენი უკეთესისა განთიადისანი.

ჴსწავლულნი დამამშურალნი ღრმათა ფილოსოფიურთა განმსჯელობათაგან, ჟამად დაისუჱნებენ, გალობით აღმსთობილნი ცად მიმართ და კეთილ-სიტკბოებით მოყუ-უასთათანა, ანუ განმხოლოებაში მგალობელნი იგემებენ სიტკბოებასა ოქროვანთა საუკუნეთასა და მარად ნუგეშ-ცემულ იქნებიან ზეციერისა ნათლითა

ხოლო უსწავლელნი განსავითარებელად გულის. და გონებისა ტურფად წარსთქმიან გალობით ღუთის დი-დებასა; კაცთა შორის გამოსჩნდებიან გალობის მცოდნედ, დქეთვლერისთ ესე ჳეოილ ზნეობასა; ხოლო წინაშე მგა-ლობელნი, ჴაზრით მასთან ამაღლებულნი, მიიღებენ ღუ-თისაგან ვასკებითსა ზეციერისა ჯილდოსა. «უგალობდით «მეუფესა ჩუჱნსა, რამეთუ მეუფე არს ყოვლისა სოფლისა «ღმერთი; უგალობდით მას მეცნიერებით » ფსალ. მე. მუხლი ვ და ზ.

---

კათოლიკნი ქართულად მგალობელნი.—მაკრინა მო-ნოზონისაგან დათხზულნი საგალობელნი—გალობა და მეჩანგეთა სიმღერა—გალობაში ამერთ-იმერთა შემსა-გავსება. იმერთა ნეტარება გალობისათჳს.—ოთხი ელე-მენტი კაცის განვითარებისა—მუჱლად განსხუავებულნი ესრეთითა განვითარებითა—სიმრავლე ღუთისა ტაძართა საქართუჱლოში გალობით შემკობილთა.—ქართუჱლნი სავმაოს ბედნიერებას ჴმოებენ გალობით.

ოდეს ამერთა ურმათა აწ არა ვითარი მიხჳდომა არა აქჳს ქართულის გალობისა, უეჭჳელად ქალთა უფრო არ ეცოდინებათ ქართული გალობა; მხოლოდ არ შეიძლება აქ დიდ საქებელად არ მოვიხსენოთ კათოლიკთა ქალნი, რომელნიცა შჳენიერად ჰგალობენ იტალიანურის ნოტით ფსალმუნთა ორღანზედ და ტურფის გალობით შეამკობენ წმიდასა მათსა ეკკლესიასა, როგორც მე მინახამს ქალაქს გორს ქათოლიკე ეკკლესიაში.

სამასის წლის წინათ მონოზანი მაკრინა სთხზავდა სძლის პირთა საგალობელად დედისა თჳსისა წმიდისა დიდისა მოწამისა დედოფლისა ქეთევანისა და სხჳათაცა დირსთა ქართჳელთა მამათა მიღებულთა წმიდისა ჩჳენი ეკკლესიისაგან რიცხჳთა შორის წმიდათასა — ქალი ესე ძმით მოსილი და მონოზნობის ღჳაწლით დამშრალი, ტრფიალი საღმრთოჲსა მწერლობისა და მით დიდისა სახელისა დამტევებელი, უეჭჳელად იმდროს მცხოვრებთა ქართჳელთაგან იქმნებოდა ფრიად საქებელი და უმეტეს პატივ-ცემული, ვიდრე ფერუმარილით და მჴრფასის ტანისამოსით მორთულნი ქალნი; (*) მონოზანი მაკრინა არის

---

(*) წარმოიდგინეთ რა საშინელნი მახინჯები არიან ის გაქსჳებულნი ქალნი, რომელნიცა მთელს თავიანთ სიცოცხლეში უზრუნველნი არიან, სდევენ ამაოთა ოცნებათა და გარყჳნილების გრიგალში ბურბუშელასავით ბორიალობენ; რომელნიც თავეთის უსაგნოსა და გაქსჳებულის ცხოვრებით ამოხჳწკენ თავიანთ ქმართა, შჳლთა, მთლად სახლობათა და მოყჳასთა მრავალთა ბოროტთა, რომელნიცა

იწ ჩვენთჳს და იქმნება შემდგომთა თჳთ უშორესთა შ-თამომავლობათათჳსცა დიდას საქებელი და საყვარელი, როგორც ნამდვილად ყოველად შვენიერი ქალი; ვინაიდგან ყოველი ადამიანი აღმოსჩნდების შვენიერად და მოიგებს სიყვარულსა ერთათა ოდენ უბიწოებითა, სიმართლითა და კეთილისა ღვაწლითა —

მაკრინა მონოზნის დროს, თუმცა ქართველნი გარეშე მტერთაგან იყვნენ უკიდურესსა შეიწროებაში; მარამ ჯვა-ლად აქ დედანი ასწავლიდნენ შვილთა თჳსთა გალობასა და სამღრთოსა წერილსა; მამანი სამხედროსა ზნეობასა; ხოლო აწ ელვარესა ამას დროსა, მრავალნი ქალნი ნაც-ვლად მიბაძვისა ღირსთა მათ დედათა სამღრთოჲსა ტრო-ფიალებითა და უკვდავისა სახელისა დატევებითა, უფრო ხშირად მხოლოდ როკვენ ლხინსა და შექცევაში უშეს-ბამოს ყოფაქცევითა და დასძახიან ძველთა მათ მეჩანგეთა სიმღერასა სპარსულის სახედ, რომელსაც დიდის გშხით იწურთიან ამერნი; შვილნიცა სწავლობენ მას, რაჲცა ესმი-

---

სიცოცხლეში უნდა იქანცებოდნენ და იტანჯებოდნენ უ-წესოებითა: ასე დაიმახინჯონ თავეთი მშვენიერი სახე, რომ ყველას შესძულდნენ და სიკვდილის შემდეგ მარად ცუდის ხსენებით უნდა ისაჯნენ. — და რაღა უნდა ვსთქვათ იმ ქალა ბიჭათათჳს, რომელთაცა დასხვათ სოდომგომო-რული ბეჭედი და თავეთის საზიზღარის ყოფაქცევით ა-რცხვენიან მთელს საქართველოსა. . — რაოდენ მოვალენი არიან ღვთის წინაშე ის ბოროტნი კაცნი, რომელნიც თავეთის მაცთურებით ასულელებენ ესრეთთა უბედურთა. —

სთ მშობელთაგან. (*)

უკეთუ მივიღებთ განმსჯელობაში ორსა ამას ღარმო-ნიასა: ქართულსა სამღრთოსა გალობასა და დარჩენილსა ჩვენში მეჩანგეთა მგოსნობასა; პირველსა ვითარცა გონე-ბის აღმამაღლებელსა წმიდასა მისსა ორღანსა უტურფე-სად განმამხიარულებელსა და განმამანათლებელსა თჳთ გრძნობათაცა; ხოლო მეორესა, ვითარცა ამაოსა კორც-იელთა ვნებათა აღმატყინებელსა იარაღსა დასათრგუნვე-ლად სულიერთა დიდებულებათა, და მაშასადამე ნამდჳ-ლისა და სრულისაცა სიმწყაზრისა; ჩვენ ცხადათ ვჰპო-ვებთ, რომელ რაოდენცა პირველი არის ყოვლად შვე-ნიერი და ნამდჳლი ღარმონია; ეგოდენ შემდგომი არის უსრული და გონჯი ნაკვეთი ბგერათა, ცრუ-ელვარებით მოცუნდრუკეს ეშმაკობისათჳს. (* *)

ამ გვარს შემსგავსებაში ამგვართა იმერთა თანა, თავით თჳსით იგულისხმებს, რომელ აწ იმერნი სდგანან უმაღ-

---

(*) მეტად გახშირდა მაცთურება და ჭირი მართალთა; ცოტადა უკლია აგჳსტოს კეისრის დროს ებრაელთ დამსგავსებას, მარამ რუსეთის მთავრობას ძლი-ერის მკლავით უპყრია საქართველო, უმეტეს აწინდელს ბრძნულსა მთავრობას; გამართავს ქართველთ ზნეობასა; სანუგეშებელად —

(* *) არ ეშესაბამების არცა კაცისა მაღალსა დანიშნუ-ლებასა და არცა უმანკოსა გალობის მხიარულებასა, რომ გალობასა ვხმარობდეთ ამაოთა მხიარულებათა ზედა, წინააღმდეგთა წმიდისა ზნეობისა —

ლესსა კარისსა ზედა განკითარებისასა; მჳლნი მა- გჳალად მშობელთაგან ჰსწავლობენ საღმრთოსა წერილს გალობასა და სხჳათა ქართჳჱლთა ზნეობათა; ხოლო მჴ- ლნი იმერთანი, უკეთ არა აღიზარდნენ კითარსამე სახე- ლმწიფოსა, ანუ კერძოსა სასწავლებელსა, ჰშთებიან სრუ- ლიად უმეცრებად.—

ოდეს იმერნი გალობენ, მაგალითად: სძლის პირსა, «კურთხეულ» ხარ შენ უფალო, რომელი ჰზი ზედა ხე- რუვიმთა და ჰხედავ უფსკრულთა «კელმწიფედ აღმაღლე- ბულ უკუნისამდე, ხოლო ამერნი დასძახნიან:» ჰე საყუჳა- რელო ნუ დამწჳამ მე მძაფრისა ალითა» გალობა პირ- ჳჱლსა რაოდენ აღამაღლებს მათ ჩჳჱნს განსჯასში და ჰფუ- არავს ნაკლულოვანებასა და ბიწიერებასა მათსა; ხოლო სიმ- ღერა შემდგომთა რაოდენ ამდაბლებს სათნოებასა და ღირსებასა მათსა და განშიშჳლებულთა წარმოგჳდგენს ყოვლითა ნაკლულევანებითა; თუმცა ამერნი დიდათ გა- ნსხჳავებულნი არიან მაღლისა სათნოებითა და ნიჭეულ- ებითა; ამას ამტკიცებენ გონების ნაყოფნი ჰსწავლულთა ამერთანი: სხჳა და სხჳა თხზულებანი და თარგმანნი..

იმერთაცკი აქჳსთ ამ გჳარს ზნეობაში თავეთი უმღუ- რება: ოდეს იგინი იმღერიან საეროსა სიმღერასა; ყრ- მანი და ქალნი ერთმანერთში არეულნი დასძახიან მეტად ვნებულად; მარამ არ შეიძლება ყოველსა ერსა, მთელს- ცის ქჳჱშეთში მცხოვრებსა, არა ჰქონდეს თჳსი კარგიც და ცუდი მხარე; ეგ სახედვე აქჳთ თავეთი ცუდი მხარე იმერთაცა, მეტადრე ამ დროს, როდესაც მრავალთა ბო- როტ კელოვანთა კაცთა მაცთურება და ხხჳა და სხჳა რი-

გი მომხიბლვა მძჳნვარების ყოველს საქართველოში რა-საკჳრველია, რომ შეაცთუნონ იმათ იმერნი და გარეწარ-ქმნან, როგორც ქვეყანაში ახლად გამოსული ადვილად მოსაცთუნებელი ხამიერი; მაინც ყოველს შემთხვევაში იმერთა არ მიეღებათ ფრიად მაღალ ღირსებად ესე საღ-მრთოჲსა გალობისა, რომელშიაც მთელს ცის ქვეშეთ-ში, არცა ერთსა ერსა არა ძალუძს დაედაროს მათ, და რომლითაცა იგინი ფრიად საქებელ და ნეტარ არიან: «ნეტარ არს ერი იგი, რომელმან იცის გალობა შენი «ღმერთო, ნათლითა პირისა შენისათა ვიდოდნენ და სა-«ხელითა შენითა იხარებდნენ მარად დღე და სიმართლი-«თა შენითა ამაღლდნენ; რამეთუ სიქადული ძალისა მა-«თისა შენ ხარ». ფსავ. პჱ. მუხლი იდ იე. ივ.

მოლექსეობასა, სახიობასა, (გალობასა), მხატვრობასა და გამოქანდაკებასა აქვსთ უმთავრესი მოქმედება ესტე-ტიკებრთა ძალთა ზედა კაცისათა: იგინი დააკნინებენ და დასწმენდენ კაცობრივთა მგრძნობელობათა; მოსპობენ მხეცებრივთა მისთა ვნებათა და მაღალისა მოგონებითა, ანუ შენთანახმებითა, ესოდენ კმაყოფილჰყოფენ კეთილსა სურვილსა მისსა, სისრულისადმი მიმგვეთრებელსა, რო-მელ ვსრეთ სთქვათ, შეარიგებს მას ყოველსა არსებასთან: ოთხთა ამათ ელემენტთა მიერ განვითარება კაცისა იქმ-ნების მაღალი, ფრიად მშვენიერი.

იერუსალიმი არის მაწარმოებელი საღმრთოჲსა მოლე-ქსობისა და სახიერობისა (ძნობისა). ფსალმუნნი დავი-თისნი, მრავალ დასთა მგალობელთაგან აღმსთობილნი ცად მიმართ გალობითა და ძნობითა, საკვრველსა და

წმიდასა ტაძარსა, აღგებულსა ბრძენისა მეფის სოლომონისმიერ, შემდგომ ორი ათას შჳდასისა წლისა წარმოგვიდგენს მაღალსა ემბლემასა სრულისა აღმკობილებისასა.— თჳთ კერპთ თაყუანისმცემელთაცა შორის, ელლადა (ძუელი საბერძნეთი) არის სამშობლო მოლექსობისა და გამოქანდაკებისა; იმავ ძუელს დროს მოხუცებული ომიროს უკუდავ ჰყოფს ელინთა მოლექსობასა; თადეოზ (Θадей) გამოქანდაკებასა, დიდ შენებულებს ძუელთავე დროთა კოლიძეი, საზოგადო საერო ბერძენთა თეატრი აღვსილი გასაოცარს ნატიფობითა მივიწყებულთა დიდთა ჴელოსანთასა მოიყვანდა თჳსის გამოქანდაკების სისრულით ყოველთა მხილველთა განცჳფრებაში; მცირედნი ნამტვრევნიცა მისნი დღესაც გასაოცრად აქუსთ განათლებულთა ევროპიელთა მისისა დიდისა სისრულისა თჳს: და ვითმე საგონებელია, რომ მით ბერძენთა, ზნეობით ამაღლებულთა, უადრეს სხუათა წარმართთა, ჰსცნეს ქრისტე ჭეშმარიტი ღმერთი, რომელსა მიეწერების სრული აღმკობილება, უმაღლესი ღარმონია; ხოლო იტალია, ჟამსა ქრისტიანობისასა, არის მომყვანი სახიობისა და მხატვრობისა დიდსა სისრულეში: სახიობა მოცარტისა და რასინისა მაღალისა ღარმონიით შეიქმნა ყოვლისა ევროპიის შემამკობლად; ხოლო მიქელ ანჯელმა და რაფაელმა დიდთა ამათ ჴელოსანთა თჳსის სამხატროს კალმით ასახელოვნეს და აღამაღლეს თჳსი ქუეყანა.

საქართუელოში თუმცა არა შობილან ესრეთ დიდნი ჴელოსანნი; გარნა სიმრავლე ესე ჭეშმარიტისა ღუთისა ტაძართ, მოფენილი მაღალთა ციცაბთა მთათა, ღელეთა,

კლდოვანთა, ღრმა ხევთა, ღრანტეთა და ტრიალთა მინდორთა ზედა პონტოდგან კასპიამდე, არა მოკლებულნი დიდ მშვენიერებისა და ნატიფობისანი, ოდესმე სავსენი წმიდათა სამღვდელოთა კრებულთა მიერ, გალობით შემამკობელთა მათთა დიახ მაღლად გვიჩვენებენ სისრულესა ქრისტეანობისასა ქართველთა შორის და მიხედომასა მებრ ჩვენ ქრისტიანეთა, ეს არის ჭეშმარიტი სისრულე განათლებული და ნამდვილი ღარმონია. ქართველნი წმიდათა ტაძართა აშენებდნენ მაშინ, ოდეს ეტჳრთა თჳთ უმძიმესი ჯვარი დაუცხრომელის კირთებისაგამო გარეშეთა ბარბაროზთასა; თუმცა სისხლის ოფლით და გასაოცარის ღვაწლით მუშაობდნენ მჴრფასთა ამათ შენობათა; მარამ ღვთის დიდებაზედ მსასოებელნი; განმხნევებულნი, სასუკუნოობითა, ითმენდნენ ყოველთავე შეიწროვებათა და მუშაობას განათობდნენ სასიამოვნოს გალობითა. ტაძარნი იგინი აღივსებოდნენ ხოლმე დიახ საჩქაროდ სამღვდელოთა დასთა მიერ და ერი საქართველოჲსა სრულის გულს მოდგინებით და სიხარულით აღასრულებდნენ მუნ ქრისტიანობრივთათჳს წესთა. დროჲსა სიძველისაგამო გაშავებულნი მათ კედელთა თჳთ ქვანიცა დაღრღნილი სტიხიონთაგან, გალობენ ღვაწლთა მუნ აღსრულებულთა წმიდათა მოწამეთა, თუმცა ხმა მოუღებლად დუმილით არამედ სულიერად და ტურფად გარდმოსცემენ ესრეთის ქართულის გალობით ღვთის დიდებასა ჩვენთაცა დროთა უბიწო მსხვერპლი, სისხლი მრავალ გუნდთა წმიდათა მოწამეთა, მარადის აღმსთობილი ქართულისა გალობითა, ვითარცა პორფირი და

ბისონი ჭმოსიათ ძველთა დიდებულთა ამათ ეკკლესიათა; მსხვერპლი ფრიად მაღალი ტაძართა ამათ, ვითარცა ფიმიამი კმეული ტრაპეზსა ზედა ზეციერისა მამისასა მარადის წარმოგვიდგენს ყვავილოვნებასა წმიდისა ჩვენის რელიღიისა, და საქართველოს შჳლნი ვითარცა უკვე დასცხრებოდნენ და დასცხრებიან, რათ უნდა დაუტეონ ქართული გალობა, მოგონილი მათგან სადიდებელად ქრისტიანობისა, რომელსა ზედაცა გულით და სულით იყვნენ და არიან შემუშავებულნი. ქართული გალობა უმეტეს თხუთმეტისა საუკუნოჲსა გრგვინავს ცად მიმართ საქართველოს წმიდათა ეკკლესიებში, გარდმოიცემის საუკუნიდგან საუკუნედ და ქართველთა მაღალსა ამას ზნეობასა იპყრობს სრულს თჳსსა ძალში.

გალობა ესე თუმცა ოდესმე მისწყდებოდა, რომელთამე მათ ტაძრებში, მიზეზისა გამო საქართველოს დიდის განცდისა; გარნა მასვე ჟამსა სახიერი მიულეულებული თვალი ღვთაებისა მღჳძარებდა: ჭვრეტდა განსაცდელში მყოფთა ქართველთა, მგალობელთა მისთა; სამღრთოსა მარჯვენესა ეპყრნა იგინი და ჰფარვიდა მათ ზეციერი მადლი; უკანასკნელ განგებულებამან დიდის მოთმინებისა და ღვაწლისათჳს ჯილდოდ მოუვლინა ერსა ამას მფარველობა ერთ მორწმუნეჲსა, ძლიერისა და დიდისა საჴელმწიფოჲსა.

გალობა ვითარცა ყოველთა ევროპიელთა მაღლად განვითარებულთა ქრისტეანეთ სამეფოებში არს მიღებული ერთს უმთავრესს საგნად დასაკჰინიერელად წმიდისა გემოჲსა; ეგრეთვე ჩვენთჳსაც მიუცილებელად საგულვე-

ბელ არს ზნეობისა და გემოჲსა დასაწმენდელად. ქართული გალობა მოყვანილი სისრულეში მისცემს ქართველთა უმანკოსა კმაყოფილებასა და ეგოდენ აღამაღლებს წმიდასა ზნეობასა მათსა, რომელ ნივთიერის სოფლის ღარმონიით აღიწევის ზეციერს უზადოს სიტკბოებად დაუსრულებელს ღარმონიად... ქართულის გალობით ქართველნი ჰპოვებენ თჳსსა საკმაოსა ბედნიერებასა, აღამაღლებენ რა კეთილ კრძალულთა პატიოსანთა ჰაზრთა თჳსთა ღმრთისადმი.

თ. დავით მაჩაბელი.

## სიტყუა

თქმული მოსწავლეთა მიმართ ქართულის გალობისა, წმიდის ნინას სობოროსა შინა, ბოდბეს.

უსაყჳ̂არელესნო ძმანო! სული ჩემი აღივსო სიხარულითა ღჳ̂თისა მიერითა! გული დასტკბა, ესმა რა ხმა გალობისა თქჳ̂ენისა, განმაცხოველებელი შინაგანის ხმისა ჩემისა! მადლობას გიძღჳ̂ნით ყოველი შჳლი საქართჳ̂ელოჲსა ესრეთისა კეთილ-წარმატებისათჳს თქჳ̂ენისა, და აღჳ̂ავლენთ უგულითადესსა ვედრებასა უზენაესისადმი. რათა მოქცესთ უმხურვალესი სურვილი და სიმხნე აღდგინებისათჳს მამაპაპეულისა ქართულის გალობისა — ესრეთ, მადლითა ღმრთისათა, მოლოდებათა ჩჳ̂ენთა შეუდგების კეთილსაიმედო დასასრული; მონიჭებულსა თქჳ̂ენდა უძჳრფასესსა ჟამსა სწავლისასა წინა დაედების სატრფო სარბიელი, განმაშჳ̂ენებელი მსახურებისა თქჳ̂ენისა; ხოლო წმიდა ესე ეკკლესია და ამას შინა მდებარე, უწმიდესი გჳ̂ამი წმიდისა მოციქულთა სწორისა ნინასი, განანათლებენ გონებათა თქჳ̂ენთა, აღსასრულებელად წინათ-განზრახულისა ღჳ̂აწლისა.

ძმანო! გარემოება ესე მიიღეთ წინდად საკუთარისა მოწყალებისა დედისა ღმრთისა წილ-ხდომილისა თჳსისა ქართჳ̂ელთა ერისა მიმართ. როგორც უწყით, წმიდასა

ამას ტაძარსა შინა განისჳენებენ ნაწილნი განმანათლებელისა ჩჳენისა ქალწულისა ნინასნი და, აჰა, მადლმან ღმრთისამან მოგიყჳანნა თქჳენ აქა, რათა აქედგან მისით და მის მიერვე განვრცელდეს ნიჭი ღმრთისა. სადიდებელად სათნოჲსა თჳსისა (წმიდისა ნინასსა!) აჰა გამოგირჩია თქჳენ ღმერთმან წარსაგებელად მსახურებისა თჳსისა!

ბუნებას მიუცია კაცისათჳს, ძმანო, ნიჭი გალობისა, რომელიცა არს გამომეტყჳელება გრძნობით აღჳსებულისა სულისა, რომლისა გრძნობისაცა ქონება ჭმართებს კაცსა ჟამსა ლოცვისასა, და ამისათჳს გალობას ვჰპოებთ ყოველთა კაცთა შორის ჟამსა ღმრთის მსახურებისასა. გალობა მოსესი, რაჟამს განვლეს მეწამული ზღჳა, ნაგალობევი გუნდით; ფსალმუნი დავითისი და შედგენილი მისგან გუნდი მგალობელთა; გალობა ანგელოზისა, შობასა, მაცხოვრისასა; გალობა ზაქარიასი, მამისა წინამორბედისა; გალობა წმიდისა ღმრთის მშობლისა; ოსანნა ყრმათა ებრაელთასა; ყოველი ესე ცხად გვიყოფს ჩჳენ უწინდელობასა (სიძველესა) და წმიდასაცა წარმოებასა გალობისასა ქრისტეს ეკლესიასა შინა. თჳთ იესო ქრისტე და მოციქულნი მისნი გალობდნენ (სახარ. მათესი **26. 31**), ხოლო წმიდა მოციქული პავლე ჰმოძღჳრის ქრისტეანეთა, რათა აღავსნან ღმრთის მსახურისადმი გალობითა სულიერითა (ეფესელთა ეპისტოლე **5,19**). ბ

და გალობა ესე ეკლესიური ძლიერად აღმოშობენ გულთა შინა ჩჳენთა უმხურვალესთა გრძნობათა, რომელსა შინაცა კაცი, წარმოიდგენს რა სიბადრუკესა თჳსსა, აღიარებს მოწყალებითსა განგებულებასა ღმრთისასა კაცთა

ნათესავისადმი. შეუვრდების მას და თაყუანისცემს სულითა და გულითა, ვის: გონება არ ამაღლდების გალობასა ზედა: «რომელნი ქერაბინთა . . »? ვინ არ დამტკბილდების გალობასა ზედა: «წარემართენ ლოცუა ჩემი. . .?» «დასდევ უფალო საცო პირსა ჩემსა»? ვინ არა იგლოვს გალობასა ზედა ვნების კჳრიაკის საგალობელთა, მაგ. «ნუ მტირ მე დედაო. . .?» ვინ არ აღიწევის უხილავად ცადმიმართ, ესმის რა გალობა პასექის საგალობელთა?—გალობა ეკკლესიური არს უძლიერესი საშუალობა ლმობიერებისათჳს გულისა, მოყვანებისათჳს სინანულისა ზედა და წარმართებისათჳს ყოველსა ზედა კეთილსა და მაცხოვნებელსა.

ესე ყოველივე ცხად გვიყოფს ჩუენ, თუ ვითარ საჭირო არს იცოდეს გალობა მსახურმან ეკკლესიისამან, რათა არა დამნაშავედ აღმოვჩნდეთ წინაშე ღმრთისა, თავთა ჩუენთა და შთამამავლობისა.

რწმუნებული ჩუენდა სამწყსო სიტყჳერთა ცხოვართა, გარეწრობასა შინა თჳსსა ღმრთის მსახურების მოსმენისადმი, ხშირად განიმართლებდა თავსა მით, რომელ ჩუენ ვასრულებთ წირვა-ლოცუს გარდარეულის ხმითა, რომლისაცა გაგონება ძნელად მოსათმენია ყურთათჳს. ასეც უნდა იყოს ჭეშმარიტად! კეთილი გარეგანი ღმრთის მსახურება, დიდი წარმმართებელია შინაგანისა. უმეტესად ჩუენი მსოფლიური ერი, რომელთა სარწმუნოებასაც განაცხოველებს გული და თუალი, ძრიელ მოტრფიალეა და სიამოვნებით მსმენელი ყოვლის შეწყობილის ხმისა. და რა მსოფლიური ერი? თჳთ განათლებულნიც ემიებიან

მას — და ამისათჳს ჩუენ განვიცდით არა მცირესა უგმაყოფილებასა, ყოველგან გვესმოდა სიტყუანი საკიცხევლნი; ნაცულად პატივისცემისა, ყოვლის კაცისაგან მივიღებდით უსიამოვნოებასა და ვიწყებდით რა განმართლებასა თავისასა, მივეცემოდით უმეტესსა სიძულილსა მათსა, და, უმეტესად იგარგებოდა მათ შორის სიყუარული წირვა ლოცვისადმი.

ძმანო! ჩუენგან იზრდების წმიდა იგი სარწმუნოება, რომელიცა დანერგა გულთა შინა ჩუენთა მაცხოვარმან კაცთა ნათესავისამან სიკუდილითა ჯუარისათა, მორწყული და განპოხებული სისხლთა წმიდათა მოციქულთა და მოწამეთა, განმტკიცებული და განმარტებული ცხოვრებითა და გულს-მოდგინებითა ანგელოზთ მსგავსთა ღირსთა და ღმერთ შემოსილთა მამათათა.—და რომელი სიტყუა ანუ ცხოვრება განგუამართლებს ჩუენ წინაშე ღმრთისა უკეთუ რწმუნებულსა მის მიერ მსახურებასა უდებვყოფთ და ძმათა ჩუენთა ექმნებით სახედ გარეწრობისა და ღმრთის უსიყუარულობისა. ესე ვითარისა ეკკლესიის მსახურისად უმჯობეს არს, სიტყჳსამებრ მაცხოვრისა, რათა ქედსა ზედა თჳსსა დამოიკიდოს ქვა წისქჳლისა და შთაიგდოს თავი უფსკრულსა შინა (მათეს სახარება **18, 6**); ცხადად იტყჳს წინასწარ მეტყველი: « სისხლსა, უდებებითა ჩუენითა, წარწყმედილისასა იძიებს ღმერთი ჴელთაგან ჩუენთა » (ეზეკიელისა **33, 6**).

საქართუელო, ერთი ძუელთა (ქუეყანათაგანი) მხარეთაგანი, ქრისტეს სარწმუნოებისა პირველიდგანვე მოსავია და ჭეშმარიტებით აღმსარებელი, სახე ექმნებოდა სხუათა

ღმრთის მსახურებასა, და ჰყვაოდაცა მას შინა გალობა ეკკლესიური, მცხოვრებნი უდაბნოსანი, მისით უხილავად შეერთებულ-იყვნენ ციურთა მგალობელთა თანა; სამღჳდელო და საერო წესი ერთად გარდაიხდიდენ შეწყობილითა გალობითა ყოველსა დღესასწაულსა; არა კმა ეყოფოდათ მათ გალობა ესე მხოლოდ წირჳა ლოცჳაზედ, ეკკლესიასა შინა, არამედ გამოვიდნენ რა მუნით, შემდგომად სერის დაგებისა, განვიდოდენ განმხოლოებულსა ადგილსა, ხეთა ქჳჱშე ანუ მახლობელ ეკკლესიისა და გასატარებლად შესაქცევარისა ჟამისა, იწყებდენ ეკკლესიურსა გალობასა. მეფეთა და მთავართა, ნადიმობათა, პურობათა და სადღესასწაულოთა შემთხვევათა შინა, განმამხიარულებელი და შესაქცევარი ხმა იყო ეკკლესიურისა გალობისა. ესრედ პატივ-იცემებოდა გალობა ჩჳჱნთა წინაპართა ქართჳჱლთაგან! ესრედ ერის კაცნი სამღჳდელოთა-თანა ერთად ჰსტკბებოდენ, და კმა ეყოფოდენ ურთიერთსა ვიდრე ესმოდათ ტკბილი გალობა! დაცხრობა სამღთო გალობისა, მომასწავებელია ღმრთის მსახურების მოუძლურებისა. ხმამაღლად გვიქადაგებენ ამას ზღუდენი იერუსალიმისანი, ძველს დროში!.. ხოლო აღდგინება ესრეთის სანატრელისა გალობისა, სამწუხაროდ ჩჳჱნ ყოველთა, დაცემულისა რაოდენსამე დროსა, გექმნებათ ძმანო, სახელად საუკუნოდ სახსოვრად შთამომავლობისათჳს, წარმმართებელად მღრთის მსახურებისა და დამაგვირგვინებელად ცხოვრებისა თქჳჱნისა

მიჰხედეთ, ძმანო, ვითარ ყოველი ენა მეცადინეობს განმშვენებისათჳს საეკკლესიო გალობისა! ვითარ არა ჰზო-

გზენ მისთჳს არა ვითარსა მოკლებასა და წარსაგებელსა, თქჳენცა, რტონო ახლისა ქრისტეს ვენახისანო! გმართებსთ გულს მოდგინება და მეცადინეობა განუწყვეტელი აღდგინებისათჳს მისა, რადგანაც იგი არს უსაჭიროესი განმშჳენება მსახურებისა თქჳენისა, ძჳელსა ნუ დაჰკარგავთ, მოპოებამდე ახლისა უკეთესისა.

მიჰხედეთ, ყოველი ნაწილი საზოგადოებისა, აწინდელსა განათლებულსა დროსა შინა მიემთხჳევის სრულებისადმი, და ჩჳენ რაღამ უნდა დაგვაპრკოლოს ამაზედ, მაშინ, როდესაც ჩჳენი წოდება არს უმთავრესი ქჳეყანასა ზედა — უდებებითა ჩჳენითა ნუ მოავცვივით წყევასა ქვეშე ღმრთისა, თავთა ჩჳენთა და შთამომავლობისა! იქმნება თქჳენგანი ვინმე ბრკოლდებოდეს ამა შემთხვევასა შინა მოვალეობათა სახლისათა, მარამ ნუ დაივიწყებთ, რომელ მცირედი ესე სიძნელე მოგიპოვებთ თქჳენ დროებითსა და საუკუნოსაცა კეთილდღეობასა და ცხოვრებასა. შეამზგავსეთ, ძმანო, ამათი და აწინდელი ესე გარემოება, ჰხედავთ ვითარ შორიდან მოვლენან აქა მოსასმენად მამაპაპეულისა გალობისა; ვითარ გარემოებამან ამან, ამა მცირესა ჟამსა დაჰბადა ერსა შორის გულსმოდგინება ღმრთის მსახურებისადმი, ხოლო თქჳენ მოგიპოვათ პატივის ცემა, ყოველნი გიხსენებენ საამოვნებით, სიყჳარულით; ლოცვენ დღეთა თქჳენთა, ინეტარებით და მაშინ უმეტესად საკჳრველი იქმნება სახელი თქჳენი, ოდეს თქჳენ მიერ განეფინება კნინღა დაკარგული ნიჭი ღმრთისა მრთელსა საქართჳელოსა შინა.

ხოლო შენ უპატივცემულესო მამაო არხიმანდრიტო!(*)

---

(*) არხიმანდრიტს უწოდს მაკარის, რომელსაცა პატივი და დიდება შვენის ამ გალობის დაფუძნებისათჳს. რედ.

საქართჳელო, მოქადული ღრმად პატივსაცემელისა ძველის ქართულის გალობის მოსმენითა, გიძღჳნის უმხურვალესსა მადლობასა, მიღებულთა შენ მიერ განუწყვედელთა შრომათა და ღჳაწლთა აღდგინებისათჳს მისსა; წმიდა ესე ტაძარი და ამას შინა მდებარე უძჳრფასესი საუნჯე ჩჳენ მორწმუნეთა, სიქადული და განმანათლებელი ქართჳელთა ერისა, წმიდა მოციქულთა სწორი ქალწული ნინა, განანათლებენ გულსა და გონებასა შენსა სხჳათაცა მამულის სასარგებლოთა კეთილ-წარმატებათა ზედა; ხოლო ცა და მუნ დაუცხრომელად მგალობელნი სამ წმიდა არსობითისა გალობისა, მზა გიყოფენ გვირგვინსა ღჳაწლთა შენთასა, ამინ.

მღჳდელი ფილიმონ კარბელოვი.

---

## პასუხი.

ერთ-გჳარ აღძრულნი გრძნობითა წრფელისა თქჳენდა გულითადისა სიყჳარულისა—ყოვლად უპატივცემულესო მამაო ფილიმონე! მოგიძღჳნით მადლობასა ჩჳენდამო მოძღჳრებისათჳს. სიყჳარული და გულს-მოდგინება ყოვლად უპატივცემულესისა მამისა თქჳენისა და მოძღჳრისა ჩჳენისა გრიგოლისა—ცხადათ საცნაურ-არს ამა კეთილისა საქმისა აღდგინებისათჳს. ჩჳენცა, მოსწავლენი დიდისა სიხარულითა და გულს მოდგინებითისა სურვილითა არა დავზოგავთ არა ვითარსამე ღონის-ძიებასა სწავლისა და აღდგინებისათჳს ქართულისა ჩჳენისა ეკკ-

ლესიურის გალობისა — ჩუენ ვერავითარიმე სიძნელე ვერ დაგვაბრკოლებს ამა კეთილისა საქმისა აღსრულებასა, გულწრფელათ შევსთხოვთ ერთპირათ, ღუაწლი მამისა თქუენისა მღუდლის გრიგოლისა, იქმნეს დაგვირგვინებული საონოდ და სასმოდ წინაშე ზეგარდამოისა მეუფისა, ხოლო მიზეზი ამის ყოვლისა კეთილობისა მზრუნველი ჩუენი. მაღალ-ღირსი არხიმანდრიტი მაკარი. აღემატოს უდიდესსა ხარისხსა ზედა, და მით იდიდოს გვამი ყოვლად დიდებულისა წმიდა ქალწულე მოწამისა ნინა ქართველთ განმანათლებელისა, რომელსა ტაძარსა შინა განსწავლულან ჩუენებრ მრავალნი და გავნილ არს საქართველოში წესი ქრისტიანობისა და იყოს თავსა ზედა ჩუენსა ლი ღუთისა და კურთხევა თქუენის ყოვლად პატიოსნებისა

წმინდის ნინას სობოროში ეკკლესიის პრეჩეტნიკი,
იოსებ ბერიევი

**1863** წელსა, დეკემბრის **9** დღესა, ბოდბეს

---

## კიცხის მაჭავარიანთა წარმომდინარეობა.

როგორც მოგეხსენებათ, ბატონებო, ყოველივერს რასაცკი ვხედავთ ქუეყნიერათ აქუს თავისი დასაწყისი, ე. ი. თავი მაჩუენებელი: თუ საიდგან არიან ისინი წარმომდგარნი მაშასადამე მაჭავარიანის გუარსაც უნდა ჰქონდეს თავისი დასაწყისი, რომელიც გვაჩვენებდეს, თუ საიდგან არის ის წარმომდგარი?

ძველად ქ. ი. თამარის მამის გიორგი III მაჭავარიანის გვარი ყოფილა ფალანგაძე რომელსაცა აქვს თავისი ისტორიული მნიშვნელობა, და გავიხსენებთ რა მის ისტორიულ მნიშვნელობასა უნდა ვსთქვათ ორიოდე სიტყვა აბაშიძის გვარის დასაწყისზედაცა, ამისათჳს, რომ ამ ორი გვარის დასაწყისს ერთი დამოკიდებულება აქვთ ერთმანერთზე, როგორც ტანს თავზე და თავს ტანზე ე. ი. როგორც პირველს არ შეუძლია უმეორესოთ ცხოვრება, ეგრე მეორეს უპირველესოთ.

ერთ დროს საქართველოს მეფის ამზასპ მეორე არშაკუნიანის ჴელში აღრეულან ოვსები და წამოსულან ქართველების საომრად: მეფე ამზასპ დახვედრია იმათ ლიახვის პირზე და უჯობნია იმათთჳნ. ოვსები გაქცეულან თავისავე მამულში; და ამზასპ ჩამოსულა იმერეთში, აქ იმას დაურჩევია კარგ-კარგი მოსული იმერლები ჯარად, და წაუყვანია საქართველოში და უწოდებია იმ ჯარისთჳნ სახელად. «ფალანგა» იმაზე რასაკჳრველია დაუყენებია უფროსი, რომლისგან კეთილობისაგამო ჯარს უწოდებია აბბაჲ. (*)

ბოლოს ამზასპ შექმნილა სასტიკ მეფედ და უწყჳ-გველა ჩინებულთ ქართველთა, ამისათჳს ქართველებს უსურვებიათ მისი მორებისაგან განთავისუფლება, წასულან სომხითის მეფესთან და უთხოვნიათ შემწეობა და იმათით ქართველებს უჯობნიათ ამზასპის ფალანგისათჳს, მოუკლავთ თჳთ ამზასპი და დაუსვამთ მეფედ საქართველოში სომხითის მეფის ძე რევი. ამ რევის ჴელში ეს ჯარი

(*) მამაჲ.

დაშლილა. მაგრამ ხალხში ისე განთქმულა იმ ჯარის სახელი, რომ ყოველ იმ ჯარში ნაყოფი კაცის შჳლისთჳს უძახნიათ ფალანგაშჳლი (აქიდგან ფალანგიძე) და იმ ჯარის უფროსის შჳლისათჳს ამაიშჳლი. (აქიდგან აბაშიძე) აჲ ამ ნაირებ წარმოსდგება გვარი აბაიძე და ფალანგაძე. თუ ფალანგიძეს როგორ დაერქჳა მაჭავარიანი ამას მე ვიტყვი მერე, მაგრამ ესკი არ ვიცი: როგორ დაერქვა აბაშიძე? მოუმატა ხალხმა ასე ტყუილა ასომ თუ აქჳს რამე მნიშჳნელობა სიტყჳსა აბაშ?

(ფალანგაძე და აბაშიძე ღირსებით ყოფილან თავადები და სახლებულან იმერეთში პირჳელი. ლოსიანთხევს და მეორე არგვეთს) ფალანგიძეები ყოფილან შესანიშნავი მხნეობითა და ვაჟკაცობითა, მაგრამ ცხოვრებულან მისთანა უდაბურს ალაგსა, რომ არ მიცემიათ შემთხვევა სახელის გამოჩენისა. ერთ დროს მეფე გიორგი მესამე წაბძანებულა სანადიროთ ვარციხიდგან (*) მაისის თთვეში, ლოსიანთხევს, აქიდგან წასული, ერთ ღამეს დაბძანებულა არგვეთს აბაიძისას, და მეორე დღეს წაბძანებულა ლოსიათხევს და მისულა ჯერ გამოუჩენელ დავით ფალანგიძისას, რომელსაც გახარებია დიდათ მეფეს მისჳლა, და უმასპინძლია ჩინებულად ბატონისათჳს. მეორე დღეს მეფე გიორგი გაბძანებულა სანადიროთ და წაუყვანია თან დავით ფალანგაძეცა, რომელსაც გამოუჩენია ბატონთან ნადირობაში გასაკვირვალი სიმარჯჳე; ნადირობის შემდგომ მეფე დაბრუნებულა ისევ დავითისას,

(*) ვარციხე არის შჳდი ვერსტით ქ. ქუთაისითგან, აქა ჰქონიათ მეფეებს საზაფხულო სასახლე აგ

და იქიდგან წამობძანებულა ქუთაისს და წამოუყვანია დავით ფალანგიძეცა, რომლისათჳსაც, მიუცია ქუთაისს, ქჳტმო იმერეთის მოურაობა! ეს დავით ფალანგიძე ყოფილა თავის ადგილზე მხოლოდ ორ კჳრას, მერე დაუტევებია ეს თანამდებობა და წასულა მეფის დაუკითხავათ სახლში. ერთი თთჳს შემდეგ ბატონს დაუბარებია ისა ქუთაისს, მაგრამ არ ჩამოსულა ნებით, ამისთჳს ბატონს ჩამოუყვანინებია ისა ძალათი. უკითხავს, თუ რა ყოფილა მიზეზი მისი გაპარვით წასულისა ან ნებით არ ჩამოსჳლისა, აქ დავით ფალანგაძეს აღუარებია თავის დანაშაულობა და უთხოვნია მეფისათჳს «მოტეება» მეფეს რასაკჳრველია მეუწყნარებია იმისი თხოვნა, და დაუყენებია ისევ თავის თანამდებობაზე. რა მოხუცებული დავით უთხოვნია ბატონისათჳს თანამდებობიდან განთავისუფლება და თავის სოფელში წასჳლის ნება, ბატონი თანხმებია ამაზედ და ის წასულა თავის სოფელს ლოსიანთხევს. ამ დროს ის ცოტა არ იყოს ჭკუიდგან შეშლილა და ვინც შეხვდებოდა ხოლმე, თურმე იმის დასაკმაყოფილებელს პასუხს არ მიუგებდა კითხჳაზე,დაუწყებდა ცემას. ის ხშირად ჩაფიქრებული ამას ამბობდა «მუჭი ვარ» ამ სიტყვებით ის ხადავდა თავის სიმამაცესა და სხჳაზე ძლიერებასა. ამისათჳს ხალხს დაუწყვია მისთჳს ძახილი «მუჭივაძანი» და ეს დაცინებით ძახილი იმის შჳლებზე გადასულა ნამდჳლ გვარად «მუჭივაძიანი» იმ დავით მუჭივაძიანს დარჩენია ექჳსი ვაჟი, რომელთაგან შესანიშნავი ჭკუით,მხნეობით, და კაცობით ყოფილა უფროსი ძმა ივანე, ამ ივანესკი უთამაშნია ჯსწორეთ

თავის დროში შესაფერი როლი: დასწრებია ზაქარია მხა-რგრძელის მტერთან ომებში და გამოუჩენია ძჳრი სახე-ლი მამაცობისა და ყოფილა საუკუთარი მეგობარი ზა-ქარია სპასალარისა ბოლოს იმას უსურვია წასულა ბე-რათ, ზაქარია მხარგრძელს ურჩევია იმისთჳს ამ განზრა-ზხჳს დატოვება, მაგრამ იმას არ უქნია. ამისათჳს მეფა თამარს უკურთხებინებია ბერად და გაუგზავნია სვანეთს თავის სახლის მონასტრის წინამძღურად. ამას უმწყსია იქ კეთილად და აღუშენებია ერთი ეკკლესია. (*) სადაც დაუსვენებია ამბიონს მარცხენა გვერდით ერთი ჯუარი და მოუწერია ზედ შემდგომი: «ეს ჯუარი ჩემი ჴელით გა-კეთებული შევსწირე არხიმანდრიტმან ივან, ამ ჩემგან აღშენებულ წმიდა გიორგის ეკკლესიისა, და წარმკითხვე-ლნო გევედრებით მომიხსენებდეთ ჯუარსა ამას ქუეშე მდებარეს ღუთის მონას ივანეს»

სიკუდილს შემდგომ ამ ივანეს დარჩენია სვანეთში დიდი სიმდიდრე, რომლის მისაღებლად წასულან ლოსი-ანთხევიდგან ორი იმისი შჳლი, ამათ მიუღიათ თავის მა-მის დანარჩენი უგლისია და დარჩენილან იქ ექვს წელი-წადს. იქაურ ხალხს მუჭივარიანის მაგიერად უძახიათ მა-თთჳს «მაჭავარიანი» იმათაც მოწონებია ეს უკანასკნელი გამოთქმა და უწერიათ თავის გვარი ისე, და იმ დღიდ-გან დარქმევიათ «მაჭავარიანი» ექუს წელიწადს შემდგომ ერთი ძმა იქვე დარჩენილა და მეორე წამოსულა თავის

(*) ამ ეკკლესიისა არის ახლა სვანეთში მხოლოდ ნაქ-ცევი. ავ.

სოფელში ლოსიანთხევს, ამას გაუყვია ბიძანებიდგან ადგილ მამული და დასახლებულა სოფ. კიცხს, რომელიც ხვედრია მას წილადა. და აქიდგან წარმომდინარეობენ, კიცხის მაჭავარიანი.

ამ კიცხის მაჭავარიანებს ჰქონიათ თავისი პერიოდი, რომელშიაც ისინი ყოფილან ყვავილოვან მდგომარეობაში, მაგრამ მოგიხსენებიათ კაცობრიობის სჳლა ჩარხი ე. ი. ისე ბრუნავს როგორც ჩარხი. დღეს პირჳელი შეიძლება ხჳალ უკანასკნელად იქმნეს, და დღეს უკანასკნელი ხჳალ პირჳელად. კიცხის მაჭავარიანთ მდგომარეობა, ყოფილან დაცემული დიდი მეფე სოლომონის დრომდი. ამ დროსკი გამოჩენილა ერთი მაჭავარიანი, რომელსაც თითქმის მოუბრუნებია თავის გვარისათჳს ძჳელებური მდგომარეობა, ეს ყოფილა სჳმონ, რომლისათჳნაც მეფეს უბოძებია რა მთელი ლოსიანთხევის (*) მოურაობა. როდესაც აღამამადხანი აოხრებდა საქართჳელოს, მაშინ ეს სჳმონ ყოფილა აქ იმერეთის მეფეს გაგზავნილ ჯარებში სარდლის ზურაბ წერეთლის თანაშემწის თანაშემწეთ. იმერეთის ჯარს, როგორც ვიცით ისტორიიდგანაცა, უხრიკნიათ და გამოქცეულან თავის სარდლით ზურაბ წერეთელი უკანვე, ხოლო ეს სჳმონ მისულა საქართჳელოს მეფე ირაკლისთან და უთხრობია მიზეზი იმერეთის ჯარის გამოქცევისა, რასაკჳრველია ჰცდილა იმათ განმართლებასა, მაგრამ ამაოდ.—ყოფილა მეფე ირაკლისთან ერთი თთჳე, მერე ისევ ის განუფხა-

(*) ლოსიანთხევს შეადგენს რამოდენიმე სოფელი აგ.

დების მადლობა ერთგულობისათჳს და გამოუქცეველობისათჳს გამოუშჳა იმერეთში და გამოუცანებია იმერეთის მეფესთან ეს წიგნი: «თანა მოსაყდრეო ჩემო, სოლომონ? რასაკჳრველია მე ვარ მადლობელი თქჳენი იმისთჳს, რომ აასრულეთ ჩემი თხოვნა, მომეცით შემწეობა ხარჯითა. მაგრამ უნდა განგიცხადოთ პირუთნელად, შენი ჯარი ყოფილა მეომარი არა იმ განზრახჳთა, რომ იხსნან თავის მამული გაჭირჳებითგან, არამედ მისთჳს რომ იშოონ სადმე საძარცვავი ანუ სატაცებელი, რომ ამით მისცენ თავიანთ თავს სარგებლობა.

მე იმათ იქ მიღალატეს. რადგანაც საჭირო იყო და შეიძლებოდა გამოჩენა; მხნეობისა, კაცკაცობისა და მამულის მოყჳარეობისა; მე იმათ იქ მიღალატეს, სადაც უნდა გადაწყვეტილ იყო ქართლის ბედი თუ უბედობა და მე იმათ იქ გამცარცვეს, სადაც უნდა ეძარცჳათ მტერნი: უჳჵლა ამისთჳს მე თქჳენ გაგიცხადებ მადლობასა და თქჳენს ჯარს საყჳჵდურსა, როგორც თავის მეფის და მამულის მოღალატესა ამ წიგნს ვატან მე შენს ყმას თავადათ შესაწყნარებელ მაჭავარიან სჳმონს რომელს მხოლოდ უმადლი შენ ჯართაგანს შერი. და ჩემი მამულის ერთგულობასა» (*) ეს სჳმონ რა მის... იმერეთის მეფესთან და გახარებია ძალიან, ამისთჳს რომ

(*) ეს წიგნი ვნახე მე თჳთ ამ სჳმონ მაჭავარიანის საბუთებში და გადმოვსწერე აქედგან. რაც საჭირო იყო ანუ რაც ახლა მოისმინეთ, სიტყჳა გამოუშობლივ.

იქიდგან გამოქცეულ ჯარს დაეყარა ხმა, ვითომც ის წაეყვანათ ტყვედ აღამამაღხანის მხედრობასა, იმერეთის მეფესად უთხრობია დიდი მადლობა გამოუქცევლობისათჳს და დაუჯილდოებია კარგათ. ამ დღითგან იმას უმართავს თავის სამოურაო კიდევ რამოტენიმე წელს, შემდგომ მომკჳდარა და იმის სამ დანარჩენ მკლთაგან აწღა არის მხოლოდ სფირდონ. მეგრელიის მმართველობის რჩევისპირუწლი წვერი.

თომა მაჭავარიანი.

---

## რედაქციისაგნ.

«ცისკრის» რედაქცია შეუდგა ერთის გამოჩენილის პირის შემწეობით, რომლის სახელს გამოვაცხადებთ თავის დროზედ. საბა სულხან ორბელიანის ლექსიკონის ბეჭჳდვასა და უმორჩილესად ითხოვს, ვისაც სურდეს ამ წიგნის შეძინება მისცეს ღონის-ძიება ამ განსრახვის სისრულეში მოყვანისათჳს ამ საგანზედ ბრწყინვალე კნიაზმა ალექსანდრე დიმიტრის ძემ აბხაზმა შესწირა ხუთი თუმანი, რომელსაც დიდს მადლობას მოვახსენებთ.

## სხჳა და სხჳა ამბავი.

ფებერვლის ამ წლის. თვეში ყველა ქართჳელმა იცის, რომ იყო კენჭით აღმორჩევა ტფილისში სხჳა და სხჳა ადგილებში მოთანამდებო პირების, წრევანდელი წელიწადი შენიშვნის ღირსი არის ასე, რომ თჳთქმის ფრანციამაც კი მოაქცია ყურადღება ამ საგანზედ. აი რასა სწერენ ერთს ფრანცუზულს გაზეთში ამ კენჭით აღმორჩევაზედ საქართჳელოში:

«უკანასკნელი კენჭით აღმორჩევა ტფილისში დიდის მოპირის-პირობით მოხდა, იყო ძრიელი ბრძოლა ორთა პარტიათა შორის: პირველს პარტიას შეადგენდნენ ის პირნი, რომელნიცა მტკიცეთ ადგანან ძველს მამა-პაპათ ალაგობრივ გაჩერებას, ხოლო მეორეს—რომელნიცა მოწადინენი არიან ხალხის განათლების დაწინაურებას. უკანასკნელმა პარტიამ გაიმარჯჳა, რადგანც რიცხვით მეტნი იყჳნენ, უმეტესი ნაწილი ამ პარტიისაგან იქმნენ აღმორჩეულნი. უნდა ვგონებდეთ, რომ რაც ამ ასის წლის განმავლობაში ხარჯი და ღვაწლი დაუდვია რუსეთს, ახლა თჳთქმის შეუძლიან რომ იწყოს თავისი ნაყოფის კრეფა.

—ტფილისი აპრილის თერთმეტში ტფილისის ქალაქი და ამ ქალაქის გარემოება გახვეული იყო ზრქელს ჯანღში, რომელსაცა მეცნიერებაში ეწოდება ხმელი ბურუსი. ამ ჯანღს ტფილისის გარემოება მოეცო მრთელს დღეს, და შუა დღისას, სადაც რომ მცენარე მოიპოვებოდა გაეკრა თეთრი მტვერი, ამის შემდგომს სამის დღის განმავლობაში მოდიოდა წვიმა, წვიმის-წყალი შევკრიბე შესამოწმებლად და ვნახე, რომ ამაშიაც თეთრი მტვერი იყო გარეული, მიკროსკოპის შემწეობით გამოვიკვლიე და დავრწმუნდი, რომ ეს ნივთიერება იყო ნაცარი. ცეცხლის მთა უნდა გამსქდარიყოს უეჭველად სადმე და ისე გავრცელებულა იმისი გვამი, რომ ჩჳენ ქჳეყნამდინ მოუწევია. მარტყოფის გარემოება სრულებით დავიარე და იქაც ეს აღმოჩნდა, იქაურნი მცენარენი, და ხის ფოთლები თეთრის ნაცრით იყვნენ დაფარებული, ერთის სიტყვით ის ჯანღი სხჳა არა იყორა, ცეცხლის მთის განახეთქის გვამის მეტი ბუნების გამომქმიებელი ბაიერნი.

---

—ფრანციაში და ანგლიაში ახლა დიდი თავსგამოდებით სცდა აქჳსთ, თუ როგორს სისრულეში მოიყჳანონ ჴაერით მოგზაურობა, ამ გაზაფხულისათჳს რამდენიმე შარი არის მომზადებული გამოსაცდელად, ერთს იმათ

განს შარსა ჰქჳან «გმირი» და ამ გმირით აპირებენ ოკიანის ზღვისაკენ ჰაერით გამგზავრებას. ამ დღეებში პარიჟში შეიკრიბნენ გამოჩენილნი მსწავლულები, მათ შორის იყჳნენ უწარჩინებულესნი საფრანგეთის მსწავლულნი, ბაბინე და ბაბრინი, რომელთაცა გადაწყვიტეს, რომ წრეგანდელს წელიწადს უეჭველად სისრულეში მოვა ჰაერით მოგზაურობა, ამ საგანზედ მოსალაპარაკებლად პარიჟში შედგენილია მსწავლულთ საზოგადოება, რომლის პრეზიდენტად ამორჩეული არის ბაბრინი.

---

—ერთს სანფრანცისკოს ქვეყანის მცხოვრებს მიუღია მექსიკითგან ერთგვარი თესლი, რომელსაცა საკჳრველი თჳსება თურმე აქჳს. ეს თესლი არის ხისა, რომელს ხესაცა იმ მხარეზედ ეძახიან «ისრის ხეს» ეს თესლი რომ დაყარო მიწაზედ, ან ქაღალდზედ, მაშინვე მოძრაობას იწყებენ, აქეთ იქით მირბიან და დახტიან, ამ ხის ფოთოლების წვენი, მოსაკჳდინებელი საწამლავია, მეკსიკანელები ხმარობენ ამ წვენს მშვილდის ისრისათჳს, ისრის წვერს უსმენ ამ საწამლავს და რა მოხვდება, იმ წამსვე ჰკლავს რაც უნდა ოდნად მოხვდეს. შესანიშნავი ეს არის, როდესაც მოხვდება ეს ისარი კაცსა, იმ წამსვე ჯერ მიეცემა ერთს საშინელს ტანჯვასა, ხტება, ტრიალებს, ვარდება და ბოლოს ოცის მინუტის განმავლობაში კჳდება.

---

### წარსულს თვეს «ცისკარს» მოუმატნენ შემდგომნი წლის მომწერნი.

ტფილისში,

162 უგანათ. თ. გრიგოლ დადიანი,

გიორგი გასპაროვი,

თ. ნიკოლაოზ ჭავჭავაძე 5 წიგ.

ზუგდიდში.

უგანათლ. კნეინა მარიამ დადიანისა

ქუთაისში.

170 კნ პელაგია წერეთლისა

უფალი ბერიძე,

თ. სიკო ჯიჯავაძე,

თ. სოლომან ნიჟარაძე.

ორპირში.

თ. მიხეილ ერისთავი

გროზნაში.

თ ალექსანდრე თუმანოვი.

თელავში.

176 კნ ლიზა ჩოლოყაევისა.

## სხჳა და სხჳა ამბავი:

1,—კენჭით აღმორჩევა ტფილისში,—2 ჯანღის მნიშვნელობა, ტფილისის გარემო,—3 ჰაერში შარით მოგზაურობა,—4. უცნაური ხის თესლი.—5. სია 1864 წელს, რომელიც იბარებს «ცისკარს».

---

### 1 8 6 4 წლის

### «ცისკრის» დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად 6 მან. დამატებით. 7 მან.

სხჳა ქვეყნებში გაგზავნით, დაუმატებლივ 7 მან. დამატებით. 8 მან.

რედაქცია იმყოფება კუკიას, საკუთარს კერესელიძის სახლებში, ქ. ტფილისს.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს და თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ ადრესით:

«ცისკრის» რედაქციაში ტფილისს.

Дозволено цензурою. 1864. г. 12. Мая.